საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყეილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 29 მარტი. 2023 წ. №36 (9568) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

საჭიროა ანტიინფლაციური სახელმწიფო პროგრამა აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი:

ეკონომიკური ზრდის გამომწვევი ერთ-ერთი უმძლავრესი იმპულსი გახდა რუსეთის შეჭრა უკრაინაში... შედეგად, საქართველოში შემოვიდა მიგრანტების ნაკადი უკრაინიდან ლტოლვილების, რუსეთიდან და ბელარუსიდან ომს გამოქცეულ პირთა სახით.

შემთხვევითი ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდა

იხ. 3 გვ.

ზაზა შათირიშვილი:

დავიცვათ საქართველო გლობალური პოლიტიკური თამაშებისგან!

ოლიგარქიული ოჯახების საგოლოო მიზნების შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. მათ შორის საუბარია მსოფლიოს 8-მილიარდიანი მოსახლეობის ათჯერ შემცირებაზე. ამ მიზანს ემსახურება ლგბტ პროპაგანდა, ე.წ. ოჯახის დაგეგმვის ინსტიტუტი, აბორტების ლიბერალიზაცია, გენდერული თანასწორობის კონცეფციები, სქესის შეცვლის კამპანიები, ლიბერალური ნარკოპოლიტიკა და ა.შ. თითოეული ეს იდეოლოგიური ხაზი ადამიანის უფლებების დაცვის, მათი თანასწორობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის გრჯყვიალა შირმით არის შენიღბული.

იხ. 5 გვ.

ნუგზარ. ბ. რუსაძე

ამერიკა ვერა და ვერ სწავლობს საკუთარ შეცდომებზე!

იხ. 8 გვ.



ალიბაბა ჩადუნელი:

იხ. 4 გვ.

სააკაშვილის დროს ნარკომანებს რომ ეძახდნენ აფხაზეთში ნამარ ბიჭებს, მაინც რომელი იყო ნარკომანი?!

კონკურენციის ეროვნულმა საგენტომ ⑤ ფარმაცევტულ ბაზარზე ოთხი კომპანიის მიმართ მოკვლევა დაიწყო

როდესაც სიცრუეს ასაღებენ სიმართლედ და კრიმინალს აჯილდოებენ...

– ჩვენ ხშირად ვხედავთ და გვესმის, რომ არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც და მსოფლიოში უფრო ფართო პრობლემა არის ის, რომ ხანდახან შავზე თეთრს ამბობენ. სიმართლის მტკიცება გახდა ძალიან რთული. სამწუხაროდ, ხშირად ტყუილი პრევალირებს ჭეშმარიტებაზე, პრიორიტეტი ენიჭება სიცრუეს, ნაცვლად სიმართლისა. როგორც ჩანს, ეს არის იმ ეპოქის მახასიათებელი, რომელშიც ჩვენ, ყველა ერთად ვცხოვრობთ. ჩემი აზრით, ამის გამოძახილი უნდა იყოს სწორედ ის, რომ კრიმინალს, სადისტს, ადამიანის უფლებების დამრღვევს, რომლის საქმიანობის შესახებ სტრასბურგის სასამართლოს გაუჩერებლად გამოაქვს და გამოაქვს გადაწყვეტილებები, ევროპული სასამართლო ამბობს, რომ სააკაშვილის დროს მისი ხელშეწყობით, მონაწილეობით, ხშირად მისი გადაწყვეტილებების საფუძველზე სისტემური დანაშაულები ხდებოდა, ნორვეგიის ერთ-ერთი პარტია აჯილდოებს იმისთვის, რისი საწინააღმდეგო ქმედებითაც იყო ცნობილი ჩვენს ერსა და ხალხში. არც ვიცით ხოლმე, რა უნდა ვთქვათ, როდესაც სიცრუეს ასაღებენ სიმართლედ და კრიმინალს აჯილდოებენ, როგორც მშვიდობის მტრედს. ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა.

თეა წულუკიანი, 27.III.2023.

კახა კალაძე: საქართველო სამართლიანად იმსახურებს, გახდეს ევროპული ოჯახის წევრი

პარტია „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე მათუმში გამართულ პარტიულ კონფერენციას დაესწრო. მან კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა პარტიული საქმიანობისა და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პროცესებში მონაწილეობისთვის.

„თქვენ ხართ ის ხალხი, ვისთან ერთადაც დავიწყეთ ბრძოლა 2011 წელს. რთული გზა გავიარეთ, მევრ წარმატებას და გამარჯვებას მივაღწიეთ ერთად. დღესაც თქვენ ხართ ჩვენი გუნდის მთავარი საყრდენი და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების პროცესში დიდია თქვენი წვლილი. რასაკვირველია, გამოწვევები დღესაც არის, თუმცა ერთიანობით, შემართებით, სწორი სვლით და, რაც მთავარია, ქვეყნის ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებებით დავძლევთ ყველა პრობლემას. პატრიოტიზმი, ტრადიციების შენარჩუნება, ჩვენი იდენტობის, კულტურისა და ისტორიის დაცვა „ქართული ოცნების“ მთავარი ღირებულებებია და სწორედ ამ პრინციპებით ვხელმძღვანელობთ ევროინტეგრაციის გზაზეც. მე ვარ ერთ-ერთი ის ადამიანი, რომელსაც ევროპაში ცხოვრების და კარიერის შექმნის ისტორია აქვს. კარგად ვიცი, რა არის ევროპა, ევროპული ღირებულებები და სწორედ ამიტომ მინდა, ჩემი ქვეყანა გახდეს ამ დიდი ოჯახის წევრი, თუმცა, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არ უნდა მოხდეს კრიმინალის გათავისუფლების მოთხოვნის სანაცვლოდ, ქვეყანაში არეულობისა და ქაოსის დათესვის სანაცვლოდ.

„ქართული ოცნება“ მზადაა 12-პუნქტიანი გეგმის პირნათლად შესასრულებლად და ამისთვის კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს. გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ევროკავშირის სტრუქტურებმა, იმსახურებს თუ არა ქართველი ხალხი სტატუსს არა კრიმინალის გათავისუფლების საპირწონედ, არამედ რეალური საქმით და რეფორმებით, რაც გატარდა“, – განაცხადა კახა კალაძემ სიტყვით გამოსვლისას.

ირაკლი კობახიძე: კახა ოქრიაშვილი ერთგვარი დამხმარე ხელია მერაბიშვილისთვის, რომელიც რეალურად ფლობს მის ბიზნესს

კახა ოქრიაშვილს თავის განცხადებაში წამოცდა ერთი სიმართლე – ეს კომპანია სინამდვილეში არის არა ოქრიაშვილის, არამედ, პირველ რიგში, ვანო მერაბიშვილის, დღემდე ოქრიაშვილი ერთგვარი დამხმარე ხელია მერაბიშვილისთვის, რომელიც რეალურად ფლობს მის ბიზნესს, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

კობახიძეს კახა ოქრიაშვილის მიერ „ფეისბუქზე“ გავრცელებულ პოსტთან დაკავშირებით დაუსვეს კითხვა.

„პრემიერმა აღნიშნა, რომ ოქრიაშვილმა კონკრეტულ მედიკამენტებზე ფასები ხელოვნურად რამდენჯერმე გაზარდა. თან, თუ არ ვცდები, საუბარი იყო ონკოლოგიური დანიშნულების მედიკამენტებზე. ეს არის ძალიან მძიმე მოვლენა.

ამაზე ოქრიაშვილის პასუხი იყო, რომ მისი კომპანია ყოფილა თურმე არა მისი, არამედ სახალხო საკუთრება. როგორი სახალხო საკუთრება არის ოქრიაშვილის კომპანია, ყველამ ძალიან კარგად იცის, მაგრამ მას ჰქონდა ერთგვარი წამოცდენა, ერთი სიმართლე თქვა თავის განცხადებაში, ეს არის ის, რომ ეს კომპანია სინამდვილეში არის არა ოქრიაშვილის, არამედ, პირველ რიგში, ვანო მერაბიშვილის.

თავიდანვე ასე შეიქმნა ეს კომპანია და დღემდე ოქრიაშვილი არის ერთგვარი დამხმარე ხელი ვანო მერაბიშვილისთვის, რომელიც რეალურად ფლობს ამ ბიზნესს“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ლევან იოსელიანი: მცდარია ინფორმაცია, თითქოს...

სახალხო დამცველი **ლევან იოსელიანი** აცხადებს, რომ მცდარია ინფორმაცია, თითქოს მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით შექმნილი კონსილიუმის წევრი ექიმები მსჯავრდებულის მონახულებასთან დაკავშირებით მის გადაწყვეტილებას ელოდებიან.

„მინდა, გამოვეხმაურო მედიაში გავრცელებულ მცდარ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მომსახურების მონიტორინგის მიზნით შექმნილი კონსილიუმის წევრი ექიმები ელოდებიან ჩემ გადაწყვეტილებას, მიხეილ სააკაშვილის მონახულებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ კონსილიუმი საჭიროების არსებობის შემთხვევაში, თავად იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის მონახულების თაობაზე და ამ პროცესში სახალხო დამცველი არ ერევა. გარდა იმ ფორმალური ნაწილისა, რაც მსჯავრდებულის მოსანახულებლად საჭირო რწმუნებების გაცემასა და ხელმოწერასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ჩემი მხრიდან შესრულებულია და მოთხოვნის შემთხვევაში ნებისმიერ დროს გადაეცემათ რწმუნებები.

ჯერ კიდევ წინა კვირას, კონსილიუმთან შეხვედრის დროს, მივაწოდე მათ ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის სურვილის შესახებ, მოენახულებინა იგი კონსილიუმს. ამასთან, არაორაზროვნად განვმარტე, რომ ჩემი მხრიდან კონსილიუმს ექნებოდა ყველანაირი ხელშეწყობა. აქვე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ყველა ის მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც სახალხო დამცველს აქვს, შენარჩუნებულია და ამ პროცესს ჩემგან არანაირი შეფერხება არ ემუქრება.

ანა ნაცვლიშვილი და არმაზ ახვლედიანი პიროტექნიკის აკრძალვას ითხოვენ!

პრესკონფერენციაზე დეპუტატებმა განმარტეს, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს პიროტექნიკის შემოტანის, ფლობის, რეალიზაციის გამოყენების აკრძალვას, გარდა F1 კატეგორიის პიროტექნიკის, რომლის უსაფრთხოების მანძილია ერთი მეტრი, ან ნაკლები და მისი გამოყენება შეიძლება დახურულ სივრცეში, ხოლო სხვა კატეგორიის პიროტექნიკის გამოყენება დასაშვები იქნება მხოლოდ მთავრობის განკარგულების საფუძველზე, ერთჯერადად განსაკუთრებულ შემთხვევებში. ნაცვლიშვილის თქმით, ადამიანები პიროტექნიკას უკონტროლოდ, გართობის მიზნით იყენებენ, რასაც ხშირად შედეგად მათი ან გარშემო მყოფების ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული დაზიანება მოსდევს და ასევე ზიანდება გარემო, მასობრივად იხოცება და სხვაგვარი ზიანი აადგებათ ფრინველებსა და ცხოველებს. დეპუტატის განმარტებით, **კანონპროექტის მიღების შემდეგ, პიროტექნიკის უკანონო გამოყენებისთვის ფიზიკური და იურიდიული პირები დაჯარიმდებიან – 1 000 და 5 000 ლარით.**

„პიროტექნიკური ნაკეთობის უკანონო შემოტანა, ფლობა, რეალიზაცია ან გამოყენება იმ პირის მიერ, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე იყო ადმინისტრაციულ სახდელდადებული პიროტექნიკის ამკრძალავი რეგულაციების საფუძველზე, ისჯება სისხლის სამართლის წესით. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ ინიციატორებისთვის მიწოდებული ოფიციალური ინფორმაციით, მარტო 2023 წლის იანვარში ცენტრს დახმარებისთვის მიმართა პიროტექნიკის გამოყენებით დაზარალებულმა 87-მა მოქალაქემ, აქედან 18 წლამდე ასაკის იყო 19 პირი, ჰოსპიტალიზაციის საჭიროება დადგა 41 შემთხვევაში. პრაქტიკაზე დაკვირვებამ და ოფიციალური უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოკვლევამ აჩვენა, რომ არსებული რეგულაციები პრაქტიკულად არ სრულდება“, – განაცხადა ნაცვლიშვილმა.

ია მეტრეველი: სააკაშვილისთვის ჯილდოს გადაცემა არის ჩვენი შეურაცხყოფა

მინდა, მივმართო ნორვეგიის საელჩოს, თუ ეს არ არის სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, გამოვიდეს ელჩი და აგვიხსნას, რა მოხდა, გაგვანადგურეს, ოჯახები ამოგვიწყვიტეს, 165 მიჯი ქუჩაში ჰყავთ დახვრეტილი სააკაშვილის, ვითომ უფლებების დამცველს, ეს ხომ ცინიზმია, – ამის შესახებ მუტა რობაქიძის დედამ, **ია მეტრეველმა** განაცხადა.

„დღეს მედავენ კიდევ და რეუიმს ეძახიან დღევანდელ ლოიალურ ხელისუფლებას. ყველამ უნდა აგოს პასუხი იმის გამო, რაც აქვთ ჩადენილი. აუტანელი და გაუსაძლისია უკვე ეს ყველაფერი. ქვეყანა ვეღარ ვითარდება, წინ ვეღარ მიდის, რადგან ბოროტი ძალა, რასაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“ დღემდე აგრძელებს ქვეყნის დაქცევას და ყველაფერს აკეთებს, როგორ შეუშალოს ხელი ქვეყანას, რომ წინ არ წავიდეს. პირდაპირ ომი უნდათ, რომ დაიწყოს ქვეყანაში, ამისთვის ყველაფერს აკეთებენ როგორმე მეორე ფრონტი გახსნან აქ და წარმოიდგინეთ, რა გველის. მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მათ ეს აღარ და ვეღარ გაბედონ.

მივმართავ საელჩოს, გამოვიდნენ და საზოგადოებას აუხსნან, რაშია საქმე. ეს არის შეურაცხყოფა და დაცინვა იმ ოჯახების, რომლებიც გაგვანადგურა სააკაშვილმა და საუბედუროდ ნახევარ საქართველოზე მეტია ამ დღეში. ვფიქრობ, ეს იყო ლობისტების და დედამისის მიერ დაფინანსებული, რომელიც ჩამრძანდა იქ და დიდი ამბით მიიღო ეს სიგელი. მომაკვდავი შვილის დედას ნამდვილად არ ჰგავს, ქალი ჭკუაზე არ არის თავისი პრანჭვა-გრეხით, დავიღალეთ ამ ყველაფრის ყურებით. დღეს კიდევ ამდენი თანხები რომ აქვთ და ლობისტებს ფულებს უხდიან, ჩამოერთვათ ის ქონებები, რაც წაართვეს ჩვენ ხალხს. ფუფუნებაში რომ ბრძანდება საავადმყოფოში, გადაბრძანდეს ციხეში მით უმეტეს რომ ციხე აღარ არის ისეთი, როგორიც მას ჰქონდა. აღარ არის ჯოჯოხეთური ციხე, სადაც წამებით კლავდნენ ხალხს“...

ნორვეგიის ელჩი გაოგნებულია!..



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში ნორვეგიის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან, ჰელენ სანდ ანდერსენთან შეხვედრა გაიმართა.

საქართველოს საგარეო უწყების ინფორმაციით, შეხვედრა ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის მიერ მიხეილ სააკაშვილისთვის ადამიანის უფლებების ხელშეწყობისთვის ჯილდოს გადაცემის თაობაზე და აღნიშნულთან დაკავშირებით ნორვეგიის ელჩის მიერ გაკეთებულ კომენტარზე გაიმართა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩს განემარტა ქართული მხარის უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნული ფაქტის გამო, რაც დაკავშირებულია მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის და ძალაუფლების გადამეტების ფაქტებთან, რომელზეც მიხელ სააკაშვილი და მისი მთავრობის არაერთი წარმომადგენელი მსჯავრდადებულია ან უკვე მოიხადეს სასჯელი.

როგორც უწყებაში აღინიშნა, ნორვეგიის კონსერვატიული პარტიის აღნიშნული ნაბიჯი ხელს არ უწყობს ქართველ საზოგადოებაში დეპოლარიზაციას და შეურაცხმყოფელია სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლი მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის.

„როგორც შეხვედრაზე ნორვეგიის სამეფოს ელჩმა აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილისთვის ჯილდოს გადაცემა არ წარმოადგენს ნორვეგიის მთავრობის პოზიციას და კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინიციატივაა. მხარეებმა შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოსა და ნორვეგიის სამეფოს შორის არსებული კეთილმეგობრული ურთიერთობები და გამოხატეს მზაობა, მომავალში ხელი შეუწყონ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას“, – აღნიშნულია საგარეო უწყების ინფორმაციაში.

საქართველოში ნორვეგიის ელჩის, ჰელენ სანდ ანდერსენის კომენტარი ტელეკომპანია „მთავარმა“ გააკრიტიკა, რომლის თანახმად, **ნორვეგიის საელჩო ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაჯილდოების თაობაზე ინფორმირებული არ ყოფილა, ვიდრე ამის შესახებ ინფორმაციას მედიაში არ გაეცნენ. „დავამატებ, რომ გაოგნებული ვარ ტერორისტ ბერინგ ბრეივიკთან შედარებით, რაც მე უაღრესად უადგილოდ მიმაჩნია“,** – განაცხადა ელჩმა, რომლის თქმითაც, ჯილდოს, რომელიც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიიღო, ნორვეგიის კონსერვატიული პარტია ყოველწლიურად გასცემს და ის არ გამოხატავს ნორვეგიის მთავრობის პოზიციებს.

აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი:

შემთხვევითი ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიკური ზრდა

ხელისუფლების კრიტიკოსთა ერთ-ერთი „მკლავრი“ არგუმენტი ბოლო დროს ისაა, რომ ქვეყანაში შარშანდელი ეკონომიკური ზრდის ოფიციალურად დადასტურებულ ათპროცენტიან მაჩვენებელს „ხალხის შეცდომაში შეყვანის მცდელობად“, მორიგ ფეიკად რაცხავენ. როგორია ჭეშმარიტება და რამდენად შეიძლება, რომ ეს მონაცემი სიმართლეს შეესაბამებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკეთე არც ფართო მოხმარების საგნების, არც სურსათის, არც საწვავისა თუ კომუნალური მომსახურების ფასებზე არ აისახება – ამ შეკითხვით ცნობილ ეკონომისტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრს, აკადემიკოს მიხეილ ჯიბუტს მივმართეთ.

– გასაგებია. საჭიროა ავხსნათ შექმნილი მდგომარეობა, როდესაც ერთი მხრივ, გვაქვს გასული წლის განმავლობაში ოფიციალური სტატისტიკით მოცემული ქვეყნის ეკონომიკის ათპროცენტიანი ზრდა და მეორე მხრივ – ამ მონაცემისადმი მოსახლეობის ნდობის დეფიციტი. მოსახლეობის უნდობლობა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელთან, მისი გაანგარიშების სისწორის კუთხით არ მომდინარეობს. თუმცა ეს საკითხიც შეიძლება ყოფილიყო განხილვის საგანი, რამეთუ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა და როგორ იზომება, რა არის ის „ეკონომიკური თერმომეტრი“, რომელიც უტყუარ მონაცემს მოგვაწვდის. ოფიციალურად 2021 წლისთვისაც ორნიშნა, ამასთან 2022 წელზე მეტი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა (შესაბამისად 10,5 და 10,1 პროცენტი), მაგრამ მას არ მოჰყოლია მასობრივი ნიჰილიზმი. უნდობლობა წარმოშვა შეუსაბამობის ემპირიულმა აღქმამ: თუ ეკონომიკაში ასეთი ზრდაა, ჩვენი და ჩვენი ოჯახების მოხმარებაში რატომაა გაუარესება?

სიცხადისთვის მოდით და შევაბრუნოთ კითხვა: შეიძლება თუ არა წლის განმავლობაში ქვეყანაში იყოს ისეთი ეკონომიკური ზრდა, რომელიც უშუალოდ მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაზე არ, ან ძალიან ნაკლებად აისახება? სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლებელია, რომ ეკონომიკური ზრდა მასობრივად აღქმადი არ იყოს? ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, მაგრამ ეს სავსებით შესაძლებელია ისეთი ეკონომიკური მოდელის თუ მექანიზმის არსებობის პირობებში, როდესაც ეკონომიკური ზრდის თვისება არ არის ინკლუზიური, ანუ მისი შედეგები ყველაზე არ გადანაწილდება, ყველასთვის არაა ხელმისაწვდომი.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ეს ზრდა იყოს დაკავშირებული მაინცდამაინც მატერიალური პროდუქციის წარმოების სფეროებთან, ვთქვათ, მრეწველობასთან, ან სოფლის მეურნეობასთან. ეს შეიძლება იყოს (და ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ასეც არის) მომსახურების სხვადასხვა სეგმენტთან, კონსულტანციების, საბანკო, სამშენებლო, ვაჭრობისა და ა. შ. სფეროებთან, რომლებიც ღირებულებითი სახით ჯამდება. ამასთან, თუკი გავითვალისწინებთ ინფლაციური პროცესებისა და საყოფაცხოვრებო ფასების ზრდის ფონის არსებობას, მთლიანობაში ეკონომიკური ზრდის ამ ათპროცენტიანი მაჩვენებლისადმი გარკვეული უნდობლობის წარმოშობის საფუძველი სავსებით იკვეთება. მომხმარებელი შედის მაღაზიაში და ხედავს, რომ ფასები მომატებულია, შემოსავლები კი ამ ფასებს დროში ვერა და ვერ ეწევა. საკითხს ამწვავებს ისიც, რომ ინფლაცია ყველაზე ძლიერ შეეხო დაბალშემოსავლიან მოსახლეობას და თანაც მასობრივად, რადგანაც ფასების განსაკუთრებული ზრდა ხდება სურსათზე, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის საოჯახო ხარჯების უმთავრეს ნაწილს შეადგენს.

ამდენად, ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით გვაქვს ორი გარემოება: ერთის მხრივ მისი მაღალი დონე, მეორე მხრივ, ამ შედეგების განაწილების საკითხი, რომელიც უშუალოდ მის სტრუქტურას უკავშირდება.

გასული წლის ეკონომიკური ზრდის სტრუქტურა ძირითადად რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული შემთხვევითი ფაქტორებითაა განპირობებული.

გავიმეორებ: შარშანდელი მაღალმაჩვენებლიანი ეკონომიკური ზრდა, უმეტესწილად, მომსახურებისა და ტურიზმის სფეროების სხვადასხვა სეგმენტის ვთქვათ, სამგზავრო გადაზიდვების, საბანკო, იურიდიული, სასტუმრო-სარესტორნე სერვისებისა და სხვათა ინტენსიფიკაციითაა განპირობებული. ყოველივე ამის გამომწვევი ერთ-ერთი უმძლავრესი იმპულსი გახდა რუსეთის შეჭრა უკრაინაში. შედეგად, საქართველოში შემოვიდა მიგრანტების ნაკადი უკრაინიდან ლტოლვილების, რუსეთიდან და ბელარუსიდან ომს გამოქცეულ პირთა სახით. ამ ადამიანებიდან მხოლოდ ლტოლვილებზე გაიცემა სახელმწიფო დახმარება. სხვა შემთხვევაში, ისინი თვითუზრუნველყოფაზე არიან. ომის გაჭიანურებასთან დაკავშირებით ხდება მათ მიერ არა მარტო მოხმარების ზრდა, არამედ ეკონომიკური ადაპტაცია. ამ ნაკადებს მოჰყვა გაზრდილი ფულადი გზავნილები რუსეთიდან და ბელარუსიდან. ფულადი გზავნილები მარტო რუსეთიდან 2022 წლის 24 თებერვლიდან ერთი წლის განმავლობაში 400 პროცენტით გაიზარდა. რაც იქცა ეკონომიკის ზრდის ფაქტორად (სასტუმროების, კვების ობიექტების დატვირთვა, უძრავი ქონების გაყიდვების და მინების გაქირავების ზრდა და ა.შ.)

უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიის კიდევ ერთი ეკონომიკური შედეგი საქართველოსთვის ისაა, რომ მის გამო საგრძნობლად გაიზარდა აზიასა და ევროპას შორის სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელობა - წლის მანძილზე ტვირთის ნაკადმა რამდენჯერმე იმატა. დავოსის მოლო მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე სპეციალურად განიხილეს ე.წ. „შუა დერეფნის“ საკითხი. ასევე მკვეთრად ამაღლდა ამ დერეფნის მნიშვნელობა ენერგოშემცველების ტრანზიტის თვალსაზრისითაც. ამის მკაფიო მაგალითია ახალი ათასი მეგავატის სიმძლავრის სადენი, რომელიც აზერბაიჯანულ ელექტროენერგიას, საქართველოს, შავი ზღვის ფსკერის, რუმინეთის გავლით უნგრეთს მიაწოდებს. აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დღის წესრიგში კვლავ დგება თავის დროზე მიზეზთა გამო „გაყინული“ უმნიშვნელოვანესი ტრასეკას, ანუ დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების პროექტის გააქტიურების საკითხი. თანაც, თუკი სამხრეთ კავკასიას, როგორც კავშირგაბმულობის მსოფლიო მნიშვნელობის მქონე რეგიონს შევაფასებთ, ის, ეკონომიკის ზემოჩამოთვლილ ორ სფეროსთან – სატრანსპორტოსა და ენერგოშემცველთა სატრანზიტოსთან ერთად – საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების საძირკველს შექმნის გრძელვადიან პერსპექტივაში...

აღსანიშნავია ისიც, რომ შარშანდელი ათპროცენტიანი ეკონომიკური ზრდის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოდან პროდუქციის, განსაკუთრებით კი ავტომანქანების რეექსპორტს, რომელიც რამდენჯერმე გაიზარდა შარშან თებერვალში უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. რეექსპორტი გაიზარდა არა მარტო რუსეთში, არამედ სომხეთში, ყირგიზეთში, ყაზახეთში. შედეგად, გაიზარდა საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობებში დსთ-ს და შემცირდა ევროკავშირის წილი. საქართველოს პოლიტიკური რიტორიკა ამცირებს ქვეყნის მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებში. საქართველო მონაწილეობს ყველა საერთაშორისო სავაჭრო, დიპლომატიურ, ფინანსურ სანქციებში და იცავს მას. ერთადერთი, რაც არ გაუკეთებია საქართველოს, ესაა რუსეთისთვის სანქციების თავის არიდების მიზნით და რუსეთის მიერ პარალელური იმპორტის განხორციელებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობების პრევენციული მექანიზმის შემუშავება.

ეკონომიკის ზრდის სტრუქტურიდან გამომდინარე მისი შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოების მცირე ნაწილისათვის, ხოლო მთელი მოსახლეობისათვის ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლებას რჩება მოკლევადიან პერიოდში საბიუჯეტო სახსრები და ხანგძლივი პერიოდისათვის ეკონომიკის ფუნდამენტურ ფაქტორებზე დაფუძნებული ზრდა.

– სავსებით ბუნებრივად იბადება კითხვა: საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის მიზეზით მიღებული გარკვეული ეკონომიკური მონუსები ხომ მუდმივი არ არის, ადრე თუ გვიან მათი დადებითი ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე არათუ შესუსტდება, არამედ სულაც ნოლზე დავა და მაშინ რა რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით? რა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული ეკონომიკის ევროკავშირისაკენ კვლავ მობრუნება?

– არა თუ გვიან პერიოდში, არამედ დღესაც მიგრანტების ნაკადებს აქვს უარყოფითი ზეგავლენა, განსაკუთრებით ინფლაციური პროცესების თვალსაზრისით. მინების ქირის გაძვირება, მესაკუთრეებისათვის კარგია, მიუჯეტის შემოსავლების ზრდას ხელს უწყობს, მაგრამ აზარალებს ჩვენს სტუდენტებს, ახალდაქორწინებულებს და სხვა კატეგორიის ადამიანებს ვინც მინის ქირაობას საჭიროებს. თუ არ იქნა განსაზღვრული საიმიგრაციო პოლიტიკა ახალ რეალობასთან შესაბამისობაში, მაშინ შრომის ბაზარზე გაიზრდება დაძაბულობა სამუშაო ადგილების შოვნისას.

ხელისუფლებისათვის უმთავრესი ამოცანა მოსახლეობაში ნდობის ზრდაა. ამისთვის აუცილებელია, ხელისუფლების საქმიანობაში ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის პრინციპის დამკვიდრება და სახელმწიფო მართვაში მოსახლეობის არა ერთჯერადი (არჩევნების დროს), არამედ პერმანენტული ჩართულობა. ხალხი უნდა მონაწილეობდეს, ხალხმა უნდა იცოდეს შემთხვევითი ფაქტორებით გამოწვეული ეკომიკური ზრდის შედეგებს როგორ იყენებს ხელისუფლება? იყენებს ამ ფაქტორების მოხსნის შემთხვევაში წარმოშობილი რისკების თავიდან ასაცილებლად, თუ მიმდინარე ხარჯების გაზრდისთვის? როგორია გაზრდილი შემოსავლების საბიუჯეტო გადანაწილების გეგმები? რა ბედი ელის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ევროპულ მომავალს? ყველაფერი ეს მოცემული უნდა იყოს კანონებისა და პროგრამების სახით. რამდენადაც საქართველოსთვის დღეს უმთავრესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა ინფლაციაა, ამიტომ უპრიანია მიღებულ იქნას ანტიინფლაციური სახელმწიფო პროგრამა. მის წარმატებით განხორციელება აღადგენს ხელისუფლებისადმი ნდობას და მოსახლეობის მიერ პოლიტეკონომიკური პრობლემების ადეკვატურ აღქმას.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

აფინანსებს თუ არა კეზერაშვილი „პალიტრას“?!

პალიტრა მედია

„პალიტრა მედიის“ იურიდიული დეპარტამენტი ვებგვერდ WWW.ONGO.GE -ზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომ მათ ბიზნესმენი დავით კეზერაშვილი აფინანსებს, განცხადებას ავრცელებს.

„მოგეხსენებათ, რომ თქვენს მფლობელობაში არსებულ ვებგვერდზე 2023 წლის 27 მარტს, 16 საათსა და 30 წუთზე განთავსდა სტატია შემდეგი სათაურით: „კეზერაშვილი პალიტრა მედიას აფინანსებს“. აღნიშნულ სტატიაში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს სიცრუეს და არ არის დაფუძნებული რეალურ ფაქტებზე. სტატიაში მოყვანილი არგუმენტი, თითქოს ეს ინფორმაცია კონკრეტული წყაროსგან არის მიღებული, ასევე წარმოადგენს სიცრუეს.

„პალიტრა მედია“, მისი მრავალწლიანი არსებობის მანძილზე, არასდროს ყოფილა მართული რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ, ის ყოველთვის ინარჩუნებდა დამოუკიდებლობასა და კეთილსინდისიერად ასრულებდა ვალდებულებას, საზოგადოებისათვის მიეწოდებინა სწორი და უტყუარი ინფორმაცია. ზემოხსენებულ სტატიაში მოყვანილი ინფორმაცია ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და ცილისწამებას. „პალიტრა მედიის“, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია საშუალებათა ერთობლიობის დისკრედიტაციას და მისთვის რეპუტაციული ზიანის მიყენებას. ასევე აღსანიშნავია, რომ მსგავს „ფეიკ“ ინფორმაციას დაეყრდნობიან სხვა უპასუხისმგებლო მედიები და მოახდენენ ყოველგვარი გადამოწმების გარეშე აღნიშნულის გავრცელებას. თუმცა, ე.წ. სანდო წყაროს მოშველიებით, სხვისი დაზიანების მიზნით, სიცრუეზე აგებული სტატია, ვერ მიაღწევს მიზანს.

თქვენი ვებგვერდის მიერ, აღნიშნულ სტატიაში მოყვანილი ცრუ ინფორმაციის გავრცელებით, ირღვევა ჟურნალისტური ქარტიის შემდეგი პრინციპები: პრინციპი 1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სამართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია; პრინციპი 3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია; პრინციპი 11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება; ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაუყოვნებლივ აიღოთ თქვენი ვებგვერდიდან ცრუ ინფორმაციის შემცველი სტატია, მოახდინოთ თქვენ მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა და საზოგადოებას მიაწოდოთ სწორი, უტყუარი ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებულნი ვიქნებით, მივმართოთ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს“...

ალიბაბა ჩადუნელი:

ნარკომანებს რომ ეძახდნენ აფხაზეთში ნაომარ ბიჭებს, სააკაშვილის დროს, მაინც რომელი იყო ნარკომანი?!

დიღმის ძმათა სასაფლაო ის ადგილია, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის შეწირული შინმოუსვლელ მებრძოლთა „სახლად“ ქცეულა. ერთ დროს დანაგვიანებულ ტერიტორიას შაოსანმა დედებმა მოუარეს და გმირებისთვის ღირსეულ განსასვენებლად აქციეს. მათ დღეს ერთადერთი ოცნება აქვთ – სასაფლაოზე ხეები დარგონ და კიდევ უფრო მეტად გაალამაზონ იქაურობა, რომელიც კიდევ ელის აფხაზეთში დაღუპული ბიჭების ნეშტებს.

როგორი იყო პოლიტიკა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მებრძოლთა მიმართ სააკაშვილის დროს და რა შეიცვალა ამ თვალსაზრისით – ამის შესახებ For.ge-ს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში დაკარგულ მებრძოლთა მოძიების სახელმწიფო კომისიის კონსულტანტი ALIბაბა ჩადუნელი ესაუბრა.

– სააკაშვილის დროს ღირსებას ულახავდნენ სამხედროებს, ომის ვეტერანებს. საკმარისია, მხოლოდ ერთი ფაქტი გავიხსენოთ, თუ როგორ დაარბია სააკაშვილის რეჟიმმა გმირთა მოედანზე შეკრებილი ვეტერანები, რომლებიც ერთადერთს – სოციალური პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ, დარბევის შემდეგ კი „გამარჯვებულმა მთავარსარდალმა“ ესკორტით ჩაუქროლა დარბეულ მებრძოლებს... დღეს სახელმწიფო ცდილობს, დაეხმაროს ნაომარ ადამიანებს, გაზარდოს მათი სოციალური დახმარება, თუმცა ამ ადამიანების ვალს სახელმწიფო ვერასდროს გადაიხდის. რისი გაკეთება შეეძლო და არ გააკეთა სახელმწიფომ ომის ვეტერანებისთვის?

– ბიჭები რომ სცემეს გმირთა მოედანზე, ამერიკის ელჩი ჩაერია ამ საქმეში. ელჩმა მკაცრად ჰკითხა, რატომ დაარბიეთ ომის ვეტერანებიო, სააკაშვილმა უპასუხა, სველი წერტილები არ არის გმირთა მოედანზეო. ეს იყო დაცინვა. ნარკომანებს რომ ეძახდნენ ნაომარ ბიჭებს, ერთი მითხარით, რომელი იყო ნარკომანი? ბელა ზალდასტანიშვილს, რომელსაც ბელა დეიდას ვეძახით, რადგან ყველა ვეტერანს პატრონობს, ოთხი შვილი ჰყავს დაღუპული აფხაზეთის ომის დროს, ჩვენი უშიშროების 11 თანამშრომელი დაიღუპა იმ თვითმფრინავში. ამ ვაუკაცებთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ საბრძოლო ოპერაციაზე, თერთმეტივე ავთო იოსელიანის ბიჭები იყვნენ, საუკეთესო ადამიანები. თვითონ ბელა ზალდასტანიშვილი ჰოსპიტალში მოხვედრილ ბიჭებს ეხმარებოდა, მერე მე მაძლევდა ფულს მათ დასახმარებლად.

სააკაშვილის დამოკიდებულება ომის ვეტერანების მიმართ ყველასთვის ცნობილია, თუმცა ერთი რამ მინდა აღვნიშნო: პერიოდულად ჩავდიოდი მოლაპარაკებებზე აფხაზებთან და აფხაზებმა წამოაყენეს პირობა – ბესო ჯოგუა რომელიც ქართველებს ჰყავდათ დაკავებული, მათთვის გადაგვეცა. ცხონებულმა ქიშმარიამ გვითხრა, ბესო ჯოგუას თუ გაათავისუფლებთ, გვერდში დაგიდგებითო. ვუპასუხე, ყველაფერს გავარკვევ-მეთქი და თბილისში ჩამოვედი. ვიფიქრე, ვისთან უნდა მივსულიყავი. ბატონ ნიკა რურუას ძალიან კარგად ვიცნობდი, სხვასთან ვერ მივიდოდი, დავურეკე ნიკას, მიმიღო, ვისაუბრეთ და ავუხსენი, რომ ბესო ჯოგუა თუ არ გათავისუფლდებოდა, ვერაფერს მოვახერხებდით. მეორე დღის ორ საათზე ბესო ჯოგუა იყო ენგურის ხიდზე და გადავეცით აფხაზებს. ამდენად, ნიკა რურუას სიკეთეს ვერ დავუკარგავ, ის სხვა პიროვნება იყო.

– დიღმის ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ აფხაზეთის ომის დროს დაღუპული მებრძოლები. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებმა კვლავაც გრძელდება და მათ დაკრძალვასაც ამ სასაფლაოზე აპირებთ?

– იქ მუზეუმიც იყო, საყდარიც, მერე უგულავამ დიღმის ძმათა სასაფლაოს ტერიტორია ერთ ლარად გადასცა ვინმე ჩიქოვანს, რომელსაც მეუღლე ჰყავდა დაღუპული, ჩიქოვანი შეეცადა, ბეტონი ჩაესხა და ძმათა სასაფლაოზე ღობე ჩაჭრა. მერე მოვკიდეთ ხელი ამ ადამიანს და მივუყვანეთ ავთო იოსელიანს. როგორ გაბედა ასეთი რამ, სასაფლაოს რომ შეეხო! ჩიქოვანმა შემოგვთავაზა, ეკლესიას აგიშენებთო, მშობლები დათანხმდნენ, მაგრამ ტერიტორია უგზო-უკვლოდ დაკარგულთა კომისიის საკუთრება იყო. უგულავა რომ დაინიშნა მერად, ჩიქოვანმა, ალბათ, მოახერხა მასთან საერთო ენის გამონახვა. უგულავამაც 1 ლარად მაშინ გადასცა ტერიტორია და შუაზე გაჭრა გზა. ფაქტობრივად, გაყვეს ეს ტერიტორია, მოგვიანებით ვანო ზოდელავამ დაიწყო ეკლესიის მშენებლობა, იქ არაფერი არ იყო, გარდა რესტორნისა. იმ რესტორანში 150 ათასი დოლარი გადაიხადეს. იქ ორი ოჯახი ცხოვრობდა, რომლებსაც სახელმწიფომ მინები უყიდა. ამ ყველაფერს ავთო იოსელიანი ხელმძღვანელობდა. ნარკომანები იყვნენ ეს ბიჭები?! გულანთებული ქართველები იყვნენ და თავი შესწირეს სამშობლოს. ბელა დეიდა ვახსენე... ქალბატონმა ბელამ დაურეკა დავით ნარმანიას. გოგი ფაცაცია და დავით ნარმანია ავიდნენ ძმათა სასაფლაოზე, ნარმანიამ გვითხრა, დაგეხმარებითო, არქიტექტორი წაიყვანა ბელა დეიდამ, ეს ყველაფერი არქიტექტორმა დაგეგმა, გაიკეთა, ქვები შეარჩიეს, იმ არქიტექტორს მადლობა უნდა ვუთხრათ, მან ეს ყველაფერი საქართველოსთვის შეწირულ ბიჭებს გაუკეთა, იქ არსად ფული არ დახარჯულა, მხოლოდ ნარმანია იხდიდა მუშის ფულს. ამ სასაფლაოზე აფხაზეთში დაღუპული ასამდე მებრძოლია დაკრძალული. კიდევ ვაპირებთ ბიჭების გადმოსვენებას აფხაზეთიდან. შერიგების სამინისტროც მუშაობს, ქალბატონი თეა ახვლედიანი, გოგი ფაცაცია. იქ მუზეუმიცაა, რომელიც დაღუპულთა მშობლებმა გააკეთეს.

– რამდენი მებრძოლია კიდევ გადმოსასვენებელი?

– ძალიან ბევრი. საუბარია 600-მდე ჩვენს მეომარზე, რომლებიც აფხაზეთიდან იყვნენ, 400-ზე მეტი მეომარი კი საქართველოს დანარჩენი კუთხეებიდან იყო. ვმუშაობთ ამ თემაზე, პერიოდულად გადმოვასვენებთ ხოლმე ბიჭებს, შერიგების სამინისტროში ყველა თანამშრომელი დაინტერესებულია, რომ დაკარგული ბიჭები ვიპოვოთ.

– იმის გამო, რომ სასაფლაოს ტერიტორიის ნაწილი უსამართლოდ გასხვისდა, პრობლემებს ხომ არ გიქმნიან მებრძოლების დაკრძალვის საქმეში?

– პრობლემა ისაა, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა გარდა იქ არავინ არ უნდა დაიკრძალოს. ეს ტერიტორია მათთვისაა გამოყოფილი. ამას შერიგების სამინისტროც არ დაუშვებს. ვისაც ამ ტერიტორიის მიმართ პრეტენზია აქვს, ყველამ თავი დაგვანებოს! ჩვენ სამინისტროს ავუხსენით, რომ ასეთი რამ არ შეიძლება და არ დავუშვებთ. სხვათა შორის, აფხაზეთში ძალიან კარგად გააკეთეს „დიდების პარკი“, არავისი არაფერი შემშურებია, მაგრამ აფხაზების მართლაც ეგ ერთი რამ მეხარბება, ხშირად მიწევს აფხაზეთში ჩასვლა. როდესაც ქორწილია გუდაუთაში ან გაგრაში, ყველანი მიდიან „დიდების პარკში“, ყვავილები მიაქვთ და ფიცს დებენ. ჩვენთან ბევრმა ისიც არ იცის, რომ დიღმის ძმათა სასაფლაო არსებობს. რეკლამა არ გვჭირდება, ყველაფერს უხმოდ ვაკეთებთ. ოპოზიცია იქნება, თუ პოზიცია, ყველამ მიხედოს თავის საქმეს. ვერავინ ხელში ვერ ჩაიგდებს ამ ტერიტორიას, ეგ წმინდა ადგილია, „ჰერმესი“ უვლის, კარგად არის მოვლილი.

– აფხაზებთან მოლაპარაკების შესახებ აღნიშნეთ. საქართველოს მიმართ მათი ინტერესი როგორია?

– ეგ პოლიტიკაა და პოლიტიკაში არ ვერევი, მე 1996 წლიდან ვეძებ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს. ვეტერანთა დეპარტამენტი ჩვენს გვერდითაა, უხმოდ ვაკეთებთ ჩვენს საქმეს, არ გვჭირდება ჩინ-მედლები. მხოლოდ ერთს ვიტყვი: სააკაშვილის დროს ყველაფერი ჩამოართვეს ნაომარ ბიჭებს, არანაირი დახმარება მათ არ ჰქონდათ, ახლა ას ლარს აძლევენ, არის სამედიცინო დახმარება, მედიკამენტები... ბევრი კეთდება ვეტერანებისთვის.

– აფხაზეთის ომიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ დასკვნა ვერ გამოიტანა. როგორც ომის ვეტერანი, რას ფიქრობთ, რატომ დაიწყო აგვისტოს ომი?

– ცხინვალში რეკლამის გასაკეთებლად შევიდნენ. ყველა ომში ვმონაწილეობდი, მათ შორის, აგვისტოს ომშიც, მე-19 ბატალიონის ოფიცერი ვიყავი, ეს ძლიერი ბატალიონი იყო. სამწუხაროდ, პრობლემები ექმნებათ ბიჭებს, ვინც მონაწილეობდა ამ ომში და არ აძლევენ სტატუსს. არადა, ომში რომ იყვნენ, ეს ნამდვილად ვიცი. როდესაც ომი დაიწყო და ვიკრიბებოდით, იმ დღეს ერთ-ერთ მათგანს შვილიც შეეძინა, მაგრამ მაინც წამოვიდა საომრად. აგვისტოს ომში ხალხი მიტოვებული იყო, ჯარისკაცს არ ჰყავდა მეთაური.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

კრემლმა ბელარუსი „ბირთვულ მძევლად“ აიყვანა?!

ფინეთის ნატოში გაწევრიანების შემდეგ, კრემლი მსოფლიოს ისევ ბირთვული იარაღით აშანტაჟებს. ბელარუსისთვის ისკანდერის სარაკეტო სისტემის გადაცემის შემდეგ, რომელიც ასევე შეიძლება იყოს ტაქტიკური ბირთვული იარაღის მატარებელი, რუსეთმა ბელარუსის ტერიტორიაზე ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსების გადაწყვეტილება მიიღო.

მიზანი ცხადია – ნატოს ნევრი სახელმწიფოების – გალტიის ქვეყნების, პოლონეთის, გერმანიის და აღმოსავლეთ სახელმწიფოების ბირთვული სამიზნეებად ქცევა, რადგან ბელარუსის ტერიტორიიდან ტაქტიკური ბირთვული რაკეტების მეშვეობით შეუძლია საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში დარტყმები მიაყენოს ამ სახელმწიფოებს.

საშიში და უპასუხისმგებლო ბირთვული თამაშების გამო ნატო ვლადიმერ პუტინს აკრიტიკებს. ალიანსში თვლიან, რომ ბელარუსში ბირთვული იარაღის განთავსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ნატო ფხიზლადაა.

როგორც ნატოს სპიკერი აცხადებს, ნატოს მოკავშირეები მოქმედებენ საერთაშორისო ვალდებულებების სრული პატივისცემით. რუსეთი გამუდმებით არღვევს შეიარაღების კონტროლის ვალდებულებებს, ბოლოს კი შეაჩერა მონაწილეობა ახალ START-ის ხელშეკრულებაში.

კრემლმა ბელარუსიის მოქალაქეები ბირთვულ მძევლად აიყვანა და ამ ნაბიჯით ბელარუსს ღიად უპირისპირებს მსოფლიოს და სულ უფრო რეალური ხდება მესამე მსოფლიო ომის საფრთხე. დიპლომატი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **ირაკლი მეღაღარიშვილი** აცხადებს, რომ ყოველ ნაბიჯს, რომელიც დაკავშირებულია ბირთვულ იარაღთან, პირდაპირ მსოფლიო ომის საფრთხესთან მივყავართ, რადგან ბირთვული იარაღის გამოყენება აუცილებლად ნიშნავს საპასუხო დარტყმის განხორციელებას, რაც მისი თქმით, უპ-

დავიცვათ საქართველო გლობალური პოლიტიკური თამაშებისგან!



...როგორც წინა წერილებშიც ვახსენე, „ბლექროკი“, სამ უმსხვილეს ამერიკულ ჩრდილოვან ბანკთან ერთად, ოლიგარქიული ოჯახების ხელში არსებული უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინსტრუმენტია. ამ ინსტრუმენტისა და უშუალო პოლიტიკური გავლენების წყალობით, ოჯახები მსოფლიო მასშტაბით წარმატებით ახერხებენ პოლიტიკურ ექსპანსიას, ხელისუფლებებისა და სასამართლო სისტემების მითვისებას, აგენტოკრატიების ჩამოყალიბებას, ომების გაჩაღებას, სახელმწიფოების იდენტობისა და თვითმყოფადობის მოშლას, ისევე, როგორც საზოგადოების ზომბირებისკენ მიმართული ე.წ. ლიბერალური იდეოლოგიის გავრცელებას.

ოლიგარქიული ოჯახების საბოლოო მიზნების შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს. მათ შორის საუბარია მსოფლიოს 8-მილიარდიანი მოსახლეობის ათჯერ შემცირებაზე. ამ მიზანს ემსახურება ლგბტ პროპაგანდა, ე.წ. ოჯახის დაგეგმვის ინსტიტუტი, აბორტების ლიბერალიზაცია, გენდერული თანასწორობის კონცეფციები, სქესის შეცვლის კამპანიები, ლიბერალური ნარკოპოლიტიკა და ა.შ. თითოეული ეს იდეოლოგიური ხაზი ადამიანის უფლებების დაცვის, მათი თანასწორობისა და თავისუფლების უზრუნველყოფის ბრჭყვიალა შირმით არის შენიღბული.

გარდა ამისა, ოლიგარქიულ ოჯახებს და მათ კომპანიებს სრული რესურსი აქვთ, მოსახლეობის შემცირების მიზნის მისაღწევად, სრულად აამოქმედონ საკუთარი სამხედრო და ფარმაცევტული ინდუსტრიები. ამასთან, იქნება თუ არა საქართველოს და ქართველების ადგილი ოჯახების მიერ ჩაფიქრებულ ახალ სამყაროში, დანამდვილებით არავინ იცის.თუ ჯერ კიდევ არ გაქვთ წაკითხული ჩემს მიერ არაერთხელ ნახსენები ჰაქსლისა და ორუელის ნაწარმოებები – „საოცარი ახალი სამყარო“ და „1984“, ასევე ენტონი ბერჯესის „სასურველი მარცვალი“, გირჩევთ, აუცილებლად წაიკითხოთ, რომ ზუსტად გაიაზროთ, როგორ სამყაროს უმზადებენ ოლიგარქიული ოჯახები თქვენს შვილებს. სწორედ ოლიგარქიული ოჯახების მანკიერ გეგმებს შეეწირა დემოკრატია საერთაშორისო მასშტაბით. ისინი უკვე დიდი ხანია ფლობენ პრინციპულ გავლენას ამერიკულ სახელმწიფო სტრუქტურებზე, 2008 წლიდან კი მათ ასეთივე გავლენა ევროპულ სტრუქტურებზეც მოიპოვეს.

ამ გავლენის წყალობით, მათ შეძლეს ევროპის ეკონომიკის ზრდის შეჩერება. თუ 2003-08 წლებში ევროკავშირის ეკონომიკა გაორმაგდა და 8-იდან 16,3 ტრილიონამდე გაიზარდა, 2009-22 წლებში მან 14-წლიანი სტაგნაცია განიცადა და შარშან მხოლოდ 16,6 ტრილიონი შეადგინა. სწორედ ეს არის სუვერენიტეტის დაკარგვის ფასი – აგენტოკრატია, ეკონომიკური სტაგნაცია და საზოგადოების მორალური სტერილიზაცია. სადამდე მიიყვანს ეს პროცესები ევროპას, პირადად ჩემთვის თანდათანობით სულ უფრო ცხადი ხდება.

ამ ყველაფრის ფონზე, მინდა დავუსვა შეკითხვა ლიბერალებს, რომლებსაც 100 წლის წინ მოღვაწე ბოლშევიკების მსგავსად, თავი ყველაზე პროგრესულ კასტად მოაქვთ და სინამდვილეში, კონკრეტული მანკიერი იდეოლოგიის გავრცელების შიშველ იარაღად არიან ქცეული: ხომ არ დაფიქრდებოდით, რომ სინამდვილეში თავისუფლებისა და თანასწორობისათვის კი არ იბრძვით, არამედ ყველაზე დიდ გაუგებრობაში ხართ მოქცეული? ხომ არ დაფიქრდებოდით, რომ თქვენს პოზიციას არა ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ სწრაფვა, არამედ სწორედ მონური აზროვნება და თავს მოხვეული იდეოლოგიის თვალდახუჭული მორჩილება განაპირობებს? ნუთუ თქვენი შვილებისთვის გემეტებათ ის მახინჯი სამყარო, რომელიც ჰაქსლისა და ორუელის ნაწარმოებებშია აღწერილი? ნუთუ არ ფიქრობთ, რომ თქვენი შვილები დასაცავი არიან ლგბტ პროპაგანდისგან, ეროვნული, რელიგიური, სქესობრივი და სექსუალური იდენტობის მოშლისგან? ნუთუ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ჭირდება დაცვა რამდენიმე ოჯახის პათოლოგიური ზრახვებისგან?

ნუთუ არ დაფიქრებულხართ, რომ გლობალური პოლიტიკური თამაშებისგან საქართველოს დაცვა მხოლოდ მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებში არის შესაძლებელი? მოვუწოდებ ყველას, ლიბერალს თუ არალიბერალს, კარგად დაფიქრდნენ ამ ყველაფერზე და გაუფრთხილდნენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და თვითმყოფადობას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა 30 საუკუნის მანძილზე თავგანწირული ბრძოლის ფასად შემოგვინახეს. დღევანდელ ურთულეს გეოპოლიტიკურ ვითარებაში საქართველოს გადარჩენა მხოლოდ მისი სუვერენიტეტის დაცვითა და გაფრთხილებით არის შესაძლებელი“...

ტრანსგენდერმა სკოლაში სასაკლაო მოაწყო

სროლას ტენესის შტატის ქალაქ ნეშვილის ერთ-ერთ სკოლაში სამი ბავშვი და სამი ზრდასრული ემსხვერპლა.

დაღუპულია თავდასხმაში ეჭვმიტანილიც. პოლიციამ თავდამსხმელი შემთხვევის ადგილზევე მოკლა. გაირკვა, რომ ის 28 წლის ოდრი ჰეილია, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც ტრანსგენდერი. გავრცელებული ცნობით, სასწავლებელში ის სამი იარაღით აღჭურვილი შევიდა. თავდასხმის მოტივი ჯერ დაუდგენელია. ნეშვილში მომხდარ შემთხვევას პრეზიდენტი გამოეხმაურა და შეიარაღებული ძალადობის შესაჩერებლად კონგრესს თავდასხმითი იარაღის აკრძალვის დამტკიცებისკენ მოუწოდა.

აშშ-ში უმსხვილესი კრიპტობირჟის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს

აშშ-ის სავაჭრო ფიუჩერსების ვაჭრობის კომისიამ სოფლის უმსხვილესი კრიპტობირჟის, Binance-ის და მისი გენერალური დირექტორის, ჩამპენ ჩუაოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

როგორც გამოქვეყნებულ პრესრელიზშია აღნიშნული, ამის მიზეზია სავაჭრო მირჟების შესახებ კანონის და რეგულატორის წესების არაერთგზის დარღვევა.

სარჩელიდან ირკვევა, რომ Binance 2019 წლის ივლისიდან დერივატივებით ვაჭრობს, მაგრამ კანონმდებლობის დაცვის მისი პროგრამა არაეფექტიანი იყო. კომპანია აძლევდა მითითებებს თავის თანამშრომლებს და კლიენტებს, რომ კონტროლის ზომებს გვერდი აუარონ მოგების გაზრდის მიზნით. ვაჭრობის დაწყებამდე Binance კლიენტებისგან არ მოითხოვდა ინფორმაციას, რომელიც მათ პიროვნებას ადასტურებდა, მაშინ როდესაც ფიუჩერსების მოვაჭრეები ვალდებულები არიან, რომ ასეთი ინფორმაცია შეაგროვონ. CFTC-ის ინფორმაციით, Binance არ იცავდა წესებს, რაც დადგენილია ტერორიზმის დაფინანსებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ.

მოლდოველ ოლიგარქებს სანქციებით ემუქრებიან

მოლდოვის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციაში შესაძლო მონაწილეობის ფონზე, ევროკავშირმა შესაძლოა, მოლდოველ ოლიგარქებს სანქციები დაუწესოს, – ამის შესახებ Bloomberg-ი ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება. ამ დროისთვის ევროკავშირი მუშაობს სამართლებრივი მექანიზმის შექმნაზე, რომელიც მათ მოლდოველი ოლიგარქების მიმართ სანქციების დაწესების საშუალებას მისცემს. წყაროები აცხადებენ, რომ ბრიუსელი შესაბამის პროგრამას ზაფხულის დასაწყისში ელოდება, ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტის წინ, რომელიც 1 ივნისს კიშინიოვში გაიმართება.

ირველეს ყოვლისა, არის მსოფლიო აპოკალიფსის საფრთხე.

> **„ეს არის იმ ბირთვული შანტაჟის სტრატეგიის გაგრძელება და გაღრმავება, რომელსაც რუსეთი უკვე რამდენიმე თვეა აწარმოებს. მან ბელორუსში ბირთვული იარაღის განლაგება, როგორც გადაწყვეტილება ისე გამოაცხადა და არა მიზანი.**
>
> **ცხადია, მათ უკვე მიიღეს ეს გადაწყვეტილება და ამის მიზანია, ბელარუსის მეზობელი ნატოს წევრი სახელმწიფოების ბირთვულ სამიზნეებად ქცევა. ეს არის ბალტიის ქვეყნები, გერმანია, პოლონეთი და აღმოსავლეთ სახელმწიფოები.**
>
> **ბელარუსიდან ტაქტიკური ბირთვული რაკეტების მეშვეობით მას შეუძლია საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში დარტყმები მიაყენოს ამ სახელმწიფოებს.**
>
> **რა თქმა უნდა, თეორიულად, მაგრამ ამას გაბედავს თუ არა პუტინი, ეს სხვა თემაა, უბრალოდ, ეს ნაბიჯი არის ბირთვული დაპირისპირების გაღრმავების ძალიან საშიში მორიგი ნაბიჯი რუსეთის მხრიდან“,** – აცხადებს **ირაკლი მენაღარიშვილი.**

როგორც დიპლომატი აცხადებს, წესით, პუტინის გადაწყვეტილება პროტესტის საფუძველი უნდა გახდეს, მაგრამ ბელარუსში ლუკაშენკოს რეჟიმს უჭირავს ყველაფერი ხელში, მასთან ოპოზიციაში მყოფი ყველა პოლიტიკური მოღვაწე ქვეყნიდან განდევნილია. როგორც **ირაკლი მენაღარიშვილი** აცხადებს, ეს არის ღია დიქტატორული რეჟიმი და ამ შემთხვევაში, არ შეიძლება არ გაჩნდეს ადამიანების აღშფოთება, მაგრამ გადავა თუ არა ეს კონკრეტულ მოქმედებებში, ამაზე საუბარი უჭირს.

გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი **ვახტანგ კაპანაძე** ამბობს, რომ ეს არის პოლიტიკური განცხადება და სამხედრო თვალსაზრისით, არავითარი ბენეფიტის მომტანი რუსეთისთვის არ არის. მისი თქმით, რამდენიმე კილომეტრით მიახლოებას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს სტრატეგიული შეიარაღებისთვის.

შესაბამისად, როგორც კაპანაძე ამბობს, ერთი – ეს არის პოლიტიკური განცხადება და მეორე – კუნთების თამაში და ვითომ მსოფლიოს შანტაჟი; მესამე – ეს არის ბელარუსის საბოლოოდ რუსეთზე მიბმა და თუ ჩაიძირა რუსეთი, ჩაიყოლებს ბელარუსს.

> **ეს არის პასუხი იმაზე, რომ თუ ნატომ შეიერთა ფინეთი და ამით რუსეთთან ნატოს საზღვარი იზრდება, აი, ჩვენ ბირთვულ იარაღს უფრო ახლოს განვათავსებთ ნატოს საზღვრებთან. როგორც პუტინმა განაცხადა, უკვე ასრულებენ ბირთვული იარაღის საცავს, რომელიც, რა თქმა უნდა, არ იქნება არც პოლონეთის და არც უკრაინის საზღვართან ახლოს, ის უნდა იყოს სიღრმეში უსაფრთხო ადგილას, ანუ ის იქნება რუსეთთან ახლოს.**
>
> **აქედან გამომდინარე, რამდენიმე ათეული კილომეტრის მომატება აბსოლუტურად არაფრის მომცემია. კიდევ ერთხელ, ეს არის ბელარუსის მიჯაჭვა რუსეთზე საბოლოოდ, რაც ძალიან ცუდი პოლიტიკური ნაბიჯია და არაა გამორიცხული, რომ ამას შიდა არეულობა მოჰყვეს ბელარუსში“,** – აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ვახტანგ კაპანაძემ.**

თამთა ქარჩავა

ქართველი ფერმერები გლობალურ ბაზარზე გავლენ...

აგაშის მუნიციპალიტეტში, სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე პროექტის „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ შედეგების შეაჯამეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, შეხვედრას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის ხელმძღვანელი ჯონ პენელი, სურსათის ეროვნული სააგენტოს, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლები.

„პროექტი „მცენარეთა დაცვის სისტემის ინიციატივა“ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით განახორციელა. პროექტის ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას (IPM), რომელიც კალიფორნიის ფრესნოს უნივერსიტეტში შემუშავებული მეთოდოლოგიის გაზიარებას ეფუძნება. აღნიშნული სისტემა ფერმერებს ეხმარება, მოახდინონ მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების ოპტიმიზაცია, რაც ხელს უწყობს გარემოზე პესტიციდური დატვირთვის შემცირებას. პროექტის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მცენარეთა საშიში მავნებლების იდენტიფიცირება და ინვაზიის დროულად აღკვეთა. პროექტის ფარგლებში, სწავლებები ჩატარდა სააგენტოს სპეციალისტებისთვის.

პარაშუტის პირველადი მომზადების პროგრამა დასრულდა

გოლნისში, მაიორ გელა ჭედიას სახელობის სპეციალური დანიშნულების საწვრთნელი ცენტრის საპარაშუტო მომზადების სკოლაში, პარაშუტის პირველადი მომზადების პროგრამა საჩვენებელი ელემენტებით დასრულდა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სასწავლო პროგრამა თავდაცვის ძალების საჯარისო დაზვერვის სკოლის ოცეულის მეთაურის კურსდამთავრებულებმა გაიარეს. საპარაშუტო მომზადების კურსი სამკვირიან სწავლებას მოიცავდა, რომელიც თეორიული და პრაქტიკული ეტაპებისგან შედგებოდა. მსმენელებმა მიწისზედა მომზადების, საფრენ აპარატში მოქმედებების, განსაკუთრებული შემთხვევების დროს პარაშუტებით ხტომისა და ჰაერში მოქმედების წესები შეისწავლეს.

მონაწილეებს თეორიული და პრაქტიკული ტესტები ჩაუტარდათ, რომლის დროსაც მათ შეასრულეს ხტომები პარაშუტით, პარაშუტით და ტვირთით, ბოლოს კი – პარაშუტით, ტვირთითა და იარაღით. საჯარისო დაზვერვის სკოლის ოცეულის მეთაურის კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულება სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაურმა, პოლკოვნიკმა თეიმურაზ ყლატეიშვილმა მიულოცა და სერტიფიკატები გადასცა.

შვილებთან ერთად – გასართობ „ბაზარში“

რუსთავის მერიის ახალგაზრდული დეპარტამენტის ორგანიზებით, ცურტაველის მოედანზე ახალ ღია საგამოფენო სივრცეში „ART ბაზარი მოეწყო. ღონისძიებას რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე შვილებთან ერთად დაესწრო.

„დღევანდელი „Art ბაზარი“, რომელიც ძალიან კარგ, ახალ რეაბილიტირებულ სივრცეში მოეწყო, იყო ახალგაზრდების მოთხოვნა. მათი სურვილი იყო, რომ მცირე მეწარმეებს უფრო მეტად შევუწყოთ ხელი და ასევე შეგვექმნა სივრცე, სადაც ახალგაზრდები შაგათ-კვირას განიტვირთებოდნენ კარგი მუსიკის ფონზე და დღეს მათ ეს შესაძლებლობა მიეცათ“, – განაცხადა ლაცაბიძემ.

ღონისძიების ფარგლებში, ქუჩის გაზრობაზე ახალგაზრდა მცირე მეწარმეებისა და სახელოსნოების მონაწილეობით, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, ასევე ჯგუფების Strange Brew, Early break, Efhk. ,htfr და „პაპანუსის“ მონაწილეობით, ცოცხალი მუსიკის კონცერტი გაიმართა. მისივე განცხადებით, ღონისძიების მიზანია, ახალგაზრდა დამწყები რუსთაველი მუსიკოსებისა და ადგილობრივი მეწარმეების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.

რესპუბლიკურის კლინიკურმა დირექტორმა თანამდებობა დატოვა

რესპუბლიკური საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი ვლადიმერ პაპავა თანამდებობიდან გადადგა. როგორც ცნობილია, მან თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

„პირადი განცხადების საფუძველზე, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ვარჩიე, წამოვსულიყავი სამსახურიდან“, – აცხადებს ვლადიმერ პაპავა.

ცნობისთვის, რესპუბლიკურ საავადმყოფოში პროტესტი გრძელდება. აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც ჯანდაცვის სამინისტრომ კლინიკის რეაბილიტაციის მიზნით, შენობის დანგრევა დააანონსა. ექიმები ითხოვენ, რომ კლინიკის რეაბილიტაცია მუშაობის შეწყვეტის გარეშე მოხდეს. მედიკოსები პრემიერ-მინისტრთან შეხვედრასაც მოითხოვენ, რათა თავად მიაწოდონ არსებული ვითარების შესახებ ზუსტი და დეტალური ინფორმაცია.

პურის ფასის გაზრდის პირობა არ არსებობს და შესაძლოა, შემცირდეს კიდეც!

არავითარი პირობა არ არსებობს, რომ პურის ფასი წავიდეს ზევით, პირიქით არის და ამაზე მუშაობენ, რომ შესაძლებელია, ცოტა დაგლა წამოვიდეს, – ამის შესახებ „პურის მრეწველთა კავშირის“ თავმჯდომარემ, მალხაზ დოლიძემ განაცხადა.

„მარაგები ამჟამად არის. გარდა ამისა, შემოდის ფქვილი დიდი რაოდენობით. ფქვილის შემოსვლამ გარკვეულად იმოქმედა ჩვენი წისქვილების მუშაობაზე და მინდა გითხრათ, რომ დღეს ერთი ტომარა ფქვილის ღირებულება თუ შევადარებთ შარშანდელს, დაახლოებით, 10-15 ლარიანი სხვაობაა. შარშან ფიქსირდებოდა 70 ლარი და 50 თეთრი და წელს ერთი ტომარა დაახლოებით 60 ლარამდეა.

ხშირად იციან ხოლმე ამის თქმა, რომ 20 ლარიანი სხვაობაა. შემომტანი, რომელიც 50-ს აფიქსირებს საბაჟოზე 50 ლარად ამ ტომარას არ გაყიდის. მას თავისი მოგება თუ არ დარჩა, რატომ შემოიტანს? ფქვილმა დაიკლო, მაგრამ ელექტროენერგიამ არ მოიმატა? წყალი 4.40 ღირდა, 6.50 ღირს. ბუნებრივმა აირმა არ მოიმატა? დროებითიაო, მერე შეიცვლებაო, შეიცვალა? არ შეიცვალა.

გუშინაც შევიკრიბეთ, ვისაუბრეთ, რომ პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების ასე თუ ისე კლებისკენ კორექტირება მოხდეს. არის ასეთი მოლოდინი, რომ პურზეც შესაძლებელია განხორციელდეს, მაგრამ ამას მუშაობა და დრო უნდა. სტაბილიზაცია უნდა იყოს ქვეყანაში. ჩვენ არ ვართ ხორბლის მწარმოებლები, ძირითადად ვართ მომხმარებლები. მაგალითად აზერბაიჯანში პური ღირს დაახლოებით ერთი ლარი, სომხეთში კიდევ უფრო ნაკლები. აზერბაიჯანში დამატებითი ღირებულების გადასახადი არ მოქმედებს პურზე.

საქართველოს ფასებს თუ შევადარებთ, სომხეთი სხვა სიტუაციაშია, სხვა დონეზე არიან, ისინი არიან საბაჟო კავშირში, რომელსაც ჰქვია რუსეთთან ურთიერთობა და ყველაფერი ხომ შედარებითია. სამთვიანი მარაგი არსებობს. ეს მარაგი არ ჩერდება, შემოდის...

კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ფარმაცევტულ ბაზარზე ოთხი კომპანიის მიმართ მოკვლევა დაიწყო

სააგენტოს ინფორმაციით, საკითხი ეხება გოლო პერიოდში, ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტების იმპორტიორი, რეალიზატორი კომპანიების მხრიდან ფასების მკვეთრ ზრდასა და სავარაუდო, იდენტური ფასწარმოქმნის დაწესებას.

„მოკვლევას საფუძვლად დაედო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია და განცხადებები ფარმაცევტული კომპანიების ქმედებების კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადობასთან დაკავშირებით.

მოკვლევა ორი მიმართულებით დაიწყო, რაც დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენებას და კონკურენციის შესაძლო შემზღუდველ შეთანხმებებს (ე.წ. კარტელური გარიგებები) გულისხმობს.

კომპანიებს, რომელთა მიმართ მოკვლევა მიმდინარეობს და ფარმაცევტულ ასოციაციებს, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საშუალება ექნებათ პროცესში საკუთარი პოზიციები – ახსნა-განმარტებები წარმოადგინონ. 2022 წელს ფარმაცევტულ ბაზარზე წარმოებული მონიტორინგის ფარგლებში, კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების მიზნით, სააგენტომ 13 რეკომენდაცია გასცა. გაცემული რეკომენდაციების აღსრულების პროცესი მიმდინარე რეჟიმშია, საიდანაც სრულად ან ნაწილობრივ 7 რეკომენდაცია შესრულდა. ამავე პერიოდში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკიდან მედიკამენტების პარალელური იმპორტის მექანიზმი ამოქმედდა. შედეგად, ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, ხოლო გაზრდილი ფინანსური ხელმისაწვდომობის შედეგად, საცალო ბაზარზე მომხმარებელმა, დაახლოებით, 250 მილიონი ლარის დანაზოგი გააკეთა.

რეფერენტული ფასწარმოქმნის და ბაზარზე განხორციელებული/მიმდინარე რეფორმის პირობებში მოსალოდნელია აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა. ამ დროისთვის, კონკურენციის ეროვნული სააგენტო მოკვლევის 4 საქმეს განიხილავს – შეთანხმებული ქმედების, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და ადმინისტრაციული უწყების მხრიდან, კონკურენციის შეზღუდვის სავარაუდო შემთხვევებს. 2023 წელს უწყებამ ერთი მოკვლევა დაასრულა და ადმინისტრაციული უწყების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტი დაადგინა.

საქმის მოკვლევის დაწყებიდან, არაუგვიანეს 6 თვის ვადაში სააგენტო შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს. საკითხის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოკვლევის პროცესი შეიძლება 18 თვემდე გაგრძელდეს. კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედების დადგენის შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს ჯარიმას, დამრღვევი ეკონომიკური აგენტის წინა ფინანსური წლის ბრუნვის 5%-მდე ოდენობით“, – აცხადებენ სააგენტოში.

მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ხალდეს აჯანყების შესახებ

საქართველოს პირველი არხი ახალ პროექტზე მუშაობს. ეს არის მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ხალდეს აჯანყებაზე. პროექტის ფარგლებში, საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე და იდეის ავტორი ვასილ მაღლაფერიძე, ფილმის გადამღები ჯგუფის წევრებთან ერთად, მესტიაში იმყოფებიან. მათ დაათვალიერეს მესტიის ეროვნულ მუზეუმში დაცული ექსპონატები და აჯანყების დროინდელი სამხედრო შეიარაღება.

საქართველოს პირველი არხის გენერალური დირექტორის, თინათინ ბერძენიშვილის განცხადებით, ეს არის არა მარტო დოკუმენტური ფილმი, არამედ გაჯერებულია მხატვრული ელემენტებით.

„დოკუმენტური კინო და დოკუმენტური ფილმები – ეს არის პირველი არხის ძალიან მნიშვნელოვანი მხარე, ვიტყოდი, ძლიერი მხარე. ბოლო პერიოდის მანძილზე არაერთი ძალიან საინტერესო ნამუშევარი შევთავაზეთ მაყურებელს, მათ შორის ისტორიული. ახლა დავიწყეთ პროექტი, რომელიც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია.

მესტიაში ხალდეს აჯანყებას შეეხება ეს ნამუშევარი და არა მარტო დოკუმენტური ფილმია, არამედ მხატვრული ელემენტებით გაჯერებულია, რადგან ამის გამოცდილება უკვე გვაქვს, ეს გამოცდილება ჯგუფმა მიიღო გადაღებასთან ერთად.

სვანეთში ერთგვარ ექსპედიციაში ვიმყოფებით, ჩვენთვისაც ახალი აღმოჩენებია და ნამდვილად ძალიან ცუდი იქნება, ეს არ იცოდეს ჩვენმა ქვეყანამ, მომავალმა თაობამ. ვფიქრობ, საინტერესო მოგზაურობა ელოდება მაყურებელს, ვინც გამოგვყვება. საკმაოდ დიდ დროს გავატარებთ სწორედ სვანეთში და ჩვენს მაყურებელს პერიოდულად ვაცნობებთ ყველა იმ ნაბიჯს, ყველა იმ სიახლეს, რომელიც გადაღებებისას წინ გველოდება“, – განაცხადა თინათინ ბერძენიშვილმა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, ხალდეს აჯანყების შესახებ ფილმის გადაღებები დაწყებულია. მისივე თქმით, ფილმს მაყურებელი, სავარაუდოდ, მომავალ წელს ნახავს.

„სულ მალე 150 წელი შესრულდება ხალდეს აჯანყებიდან. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, ჰეროიკული და ამაღელვებელი ფაქტი საქართველოს ისტორიაში. ერთი პატარა, ულამაზესი, მაგრამ ძალიან შეუპოვარი სოფელი არ შეეგუა უსამართლობას და დაახლოებით 30-მა ადამიანმა იბრძოლა ბოლომდე გმირულად თავისუფლებისათვის. მათ შეინარჩუნეს და მთელ საქართველოსაც შეუნარჩუნეს ღირსება.

მათ სასამართლოში ჩართული იყვნენ აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, მაშინდელი პრესა აშუქებდა ამ აჯანყებას და სასამართლო პროცესს. აჯანყებამ დიდი ეროვნული გამოღვიძება და აღმავლობა გამოიწვია. იმ ვითარებაში, როდესაც მეტ-ნაკლებად თითქოს ქვეყანას ქედი ჰქონდა მოხრილი რუსეთის იმპერიაში, აჯანყების მონაწილეებმა აჩვენეს საოცარი გმირობის მაგალითი და ერთი წამით არ მოიხარეს ქედი.

ისტორიიდან ასეთი მაგალითებით ემოციურადაც იზრდება ადამიანი. სწორედ ემოციური საფუძველი სჭირდება ადამიანის სამშობლოსთან მიახლებას. ახალგაზრდობას სჭირდება ასეთი მაგალითები. ეს არის ისეთივე მაგალითი, როგორიც 300 არაგველი, 300 სპარტელი.

ხალდეში, ულამაზეს სოფელში, სადაც 12-13 კოშკი იდგა, კოშკების დანგრევას ასაფეთქებელი მოწყობილობით ცდილობდნენ, მაგრამ იმდენად მკვიდრად იყო ნაშენები, რომ კოშკები წვებოდა და არ ინგრეოდა. ბავშვობაში მაქვს ნანახი ერთი ასეთი კოშკი. ეს კოშკებიც ამ გაუტეხლობის სიმბოლოა. ძალიან სასიხარულოა, რომ დღესაც გრძელდება ხალდეში ცხოვრება, დგას ჩვენი ქვეყანა და მზად არის, ამ მაგალითით იცხოვროს. აჯანყების შესახებ ფილმის გადაღებები დაწყებულია, გვინდა, რომ წელსვე დავასრულოთ. ალბათ უკვე გაისად ნახავს მაყურებელი“, – განაცხადა ვასილ მაღლაფერიძემ. ხალდეს აჯანყება 1875-1876 წლებში მოხდა. სვანური სოფლის მოსახლეობამ მეფის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო.

„მესაზღვრე შაშვები“ ოზურგეთში

ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სპექტაკლ „მესაზღვრე შაშვების“ პრემიერა გაიმართა.

სპექტაკლი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით შედგა. სამინისტროს ინფორმაციით, წარმოდგენა ოზურგეთისა და დმანისის დრამატული თეატრების ერთობლივი ნამუშევარია.

საპრემიერო ჩვენებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საქართველოს პარლამენტის წევრი ვასილ ჩიგოგიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, სახელმწიფოს რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, თეატრის მოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენლები და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ცნობილი ამერიკელი მწერლის, ნ. საიმონის, ნაწარმოების – „ბილოქსი ბლუზის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის რეჟისორია დმანისის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი სიხარულიძე. ადაპტირებული პიესის ავტორია ნინია სადღობელაშვილი, მხატვარი – თეო კუხიანიძე, მუსიკალური გაფორმების ავტორი – მანანა კიკაბიძე, რეჟისორის ასისტენტები – მაკა მამულაშვილი და გიორგი ბაბილოძე.

სპექტაკლში მონაწილეობენ ოზურგეთის თეატრის მსახიობები: ციცი ბუცხრიკიძე, ნიკა ძნელაძე, ჯაბა მორჩილაძე, ირაკლი ურუშაძე, გიორგი ჩავლეშვილი და დმანისის თეატრის მსახიობები: ანა ბანძელაძე, გიორგი გიორგიძე, გია საგინაშვილი, დათო ჩოგოვაძე. სპექტაკლი „მესაზღვრე შაშვები“ ომისა და ოკუპაციის თემას ეხება. პიესაში ახალგაზრდა რეზერვისტების ამბავია გადმოცემული.

ნანა გაბელიას „მშვიდობის სკოლა“

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრმა ნანა გაბელიამ ქალაქ რუსთავში „ მშვიდობის სკოლა“ გახსნა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს აფხაზეთის თემატიკით დაინტერესებული ახალგაზრდების, ე. წ. „მშვიდობის ელჩების“ მომზადებას შერიგებისა და კონფლიქტის ტრანსფორმაციის, ადამიანის უფლებების დაცვის, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებისა და სხვა აქტუალური მიმართულებებით.

„მშვიდობის სკოლის“ მონაწილეებს ტრენინგები ჩაუტარდებათ როგორც აუდიტორიებში, ისე დისტანციურ რეჟიმში. საბოლოოდ, მომზადებული მასალა და ინფორმაცია, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სხვადასხვა სოციალური მედიის საშუალებით იქნება ხელმისაწვდომი.ღონისძიებას პროექტის მონაწილეები, მინისტრის აპარატისა და აღგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ“.

წიგნი, რომელიც მრავალგზის წაგაკითხებს თავს



შარშან, 2022 წელს, ერთი საყურადღებო, ძალზე საინტერესო სქელტანიანი წიგნი შეემატა ჩვენს ბიბლიოთეკას – მურმან თავდიშვილის „ჩემიანები“. მას ავტორი ერთობ ხატოვნად „ესეისტურ მედალიონებსაც“ უწოდებს.

გადაშლი და შენთვის ძვირფასი ადამიანების დაუვიწყარი სახეები შემოგღიმილებს. წიგნი 35 „მედალიონისგან“ ანუ ნაცნობი, ახლობელი მწერლების, ჟურნალისტების, უბრალოდ მეგობრების შესახებ ნარკვევების და მოგონებებისგან შედგება. იგი მურმან თავდიშვილის მეოთხე, შედარებით სრული კრებულია (პირველი „ესეისტური მედალიონები“ 1995 წელს გამოქვეყნდა).

კრებულში საპატიო ადგილი უკავია რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ მესაძირკვლეს, ქართველი მკითხველისთვის სრულიად უცნობ რუს პოეტს დიმიტრი ნიკოლოზის ძე ცერტელევს (1852-1911). იგი 1738 წელს რუსეთში გადასული ავთანდილ წერეთლის შთამომავალია. დიმიტრი ცერტელევი (წერეთელი) პოლიტიკურ-ლიტერატურულ ჟურნალ „რუსსკოე ობოზრენიეს“ (გამოდიოდა 1890-1898 წ.წ.) დამაარსებელი და სამი წელი მისი ხელმძღვანელი იყო. მახსოვს, როგორ იწერებოდა 1976 წელს (მაშინ ერთად ვმუშაობდით გაზეთ „სახალხო განათლებაში“) მურმანის ეს მშვენიერი ვრცელი გამოკვლევა-აღმოჩენა, რა რუდუნებით თარგმნიდა ცერტელევის ლექსებს.

კრებულის ავტორს განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე აკავშირებს გამოჩენილ მწერალ რევაზ მიშველაძესთან (მას კრებულში სამი მონაკვეთი ეთმობა), დაასკვნის, რომ მიშველაძე გამორჩეულად ეროვნული მწერალია, მისი ყოველი ნოველა ეროვნულ ყოფას ეფუძნება. ისინი, როგორც ამბით, ისე ცალკეული მხატვრული მიგნებით წმინდა ეროვნულ ნიადაგზეა ამოზრდილი. მის ნაწარმოებებში მკითხველი იუმორით შესევდიანებულ საქვეყნო გულისტკივილს, სადარდებელს ამოიკითხავს.

მშვენიერია ადრე წასული უნიჭიერესი პოეტის ლაშა გახარიასადმი მიძღვნილი გამოკვლევა „პირველიცა და მარადიულიც“ (ციკლიდან „გარდასულ ძმათა სიმღერები“). ამ პოეტზე ბოლო ხანს ბევრი იწერება, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს არის მისი შემოქმედების სერიოზული განხილვის პირველი წარმატებული ცდა.

წერილში „შთაბეჭდილებათა ფრაგმენტები. მინიშნებები“ წამით იელვებს შოთა ნიშნიანიძის, ზაურ ბოლქვაძის, მურმან ჯგუბურიას მონატრებული აჩრდილები.

„ვალები, არცთუ სულ მთლად ვალები“ მოგონებაა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ მუშაობის წლებზე, იქაურ მუშაკებზე, ძირითადად ადრე წასულ ზაზა თვარაძეზე. ფაქტობრივად ამავე ციკლს ეკუთვნის ნარკვევი „ზურაბ ლეონტიევიჩი“, რომელიც გამორჩეულად საყვარელ პიროვნებას, ცნობილ ჟურნალისტს, პედაგოგიკის დოქტორს ზურაბ ცუცქირიძეს ეძღვნება.

შთამბეჭდავია ნარკვევები აკაკი გაწერელიაზე, სიმონიკა სხირტლაძეზე, იაკობ (ჟაკი) ბალახაშვილზე, შალვა რადიანზე, ბორის დარჩიაზე, ნუგზარ შატაიძეზე, ალექსანდრე ღლონტზე, მშობლიურ სოფელ ძიმითზე (ოზურგეთი), ფრაგმენტები ლიტერატურული წიაღსვლებიდან, ერთი ფრაზის, სიტყვის, გამოთქმის მისეული გააზრება. წესით, ეს წერილი აქ უნდა დამესრულებინა, მაგრამ ვერ მოვერიე სურვილს, ორიოდე სიტყვა მეთქვა მის სხვა ნაშრომებზეც.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მურმან თავდიშვილი მრავალი წიგნისა და სამეცნიერო სტატიის ავტორია. სამეცნიერო ბრუნვაში პირველად მან შემოიტანა ჟოზეფ დე მეტრის, თომა კემფელის სახელები, თარგმნა ანა დრანსეს „შამილის ტყვე ქალები“ (ახლავს მისივე სამეცნიერო კომენტარები).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია მისი ღვწა რუსთველოლოგიაში. „რუსთველოლოგიურ ეტიუდებში“ მკაცრად ამხელს ამ დარგში დაშვებულ შეცდომებს. 1991 წელს გამოსცა 530 გვერდიანი ფუნდამენტური სადოქტორო ნაშრომი „ვეხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“. ნაშრომი ერთობ მძაფრი ხასიათისაა, დადგენილია ოცამდე კანონზომიერება ტექსტის დასაზუსტებლად, მიგნებული და აღდგენილია მრავალი რუსთველისეული სტროფი. 2016 წელს მკითხველმა მიიღო პოემის პირველი სრული ტექსტი მურმან თავდიშვილის რედაქციით.

აი, ამ წიგნების ნუსხას შეემატა „ჩემიანები“, რომელზეც ნაღდად ითქმის, მრავალგზის წაგაკითხებს თავსო.

ალეკო ასლანიშვილი

ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲮᲘᲓᲔᲑᲘ ᲬᲕᲐᲕᲡ!

ᲰᲐᲐ�გᲘᲡ სისხლის-სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, არც მეტი, არც ნაკლები, პუტინის დაპატიმრების ორდერი გასცა. მასთან ერთად, რუსეთის მავშვთა ომბუდსმენის, მარია ლვოვა-ბელოვას დაკავებაც გადაწყვიტა. ისინი უკრაინელი მავშვების რუსეთში იძულებით გახიზვნაში არიან ეჭვმიტანილები. გადაწყვეტილება ზოგმა დაგმო და ზოგმა შეაქო. ზოგმა თქვა, დიდს არაფერს ნიშნავსო. ᲰᲐᲐ�გᲘᲡ აღნიშნული სასამართლოს კომპეტენციაში იმ პირთა დევნა შედის, რომელთაც გენოციდში, ომის დანაშაულსა და ადამიანის მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში ედებათ ბრალი. ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის საერთაშორისო სასამართლო 2002 წლიდან მუშაობს და 123 ქვეყანას აერთიანებს, თუმცა, მას არ სცნობს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკა, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ისრაელი, თურქეთი და სხვა.

მათი აზრით, ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლო ხელყოფს ამ ქვეყნების სუვერენიტეტს. ასეთი არცნობის გამო, მას ხარვეზიანი ლეგიტიმაცია აქვს მსოფლიოში. მაგალითად, ამერიკა არათუ არ აღიარებს ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლოს, არამედ, საბოტაჟებსაც უწყობს ხელმე მას. მაგალითად, 2002 წელს, შეერთებულმა შტატებმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით ამერიკელ მოქალაქეს ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლოსთან ურთიერთობა ეკრძალება, მაგრამ თუ ამერიკელი მოქალაქე აღმოჩნდება განსასჯელის სკამზე, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს თავისი მოქალაქის გასათავისუფლებლად. დონალდ ტრამპი კიდევ უფრო შორს წავიდა, და ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლოს პროკურორებსა და მოსამართლეებს, რომლებიც ავღანეთში ამერიკის სამხედრო მანქანის დანაშაულებს იძიებდნენ, სანქციები დაუწესა. სამართლის ევროპელი ექსპერტების აზრით, ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლოს არაწევრი ქვეყნები, მათ შორის, ამერიკა, ძირს უთხრის საერთაშორისო სამართალს, რადგან, გამოდის, რომ სამართალი მხოლოდ ძლიერი ქვეყნებისთვისაა ხელმისაწვდომი.

მართლაც, ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლოს მიერ გასამართლებულ პირთა სიაში, ყოფილი სერბი ლიდერის, მილოშევიჩის გარდა, ყველა აფრიკელია. იგივე ექსპერტები პუტინზეც ამბობენ, რომ მას სასამართლო ვერ დააკავებს. ჯერ ერთი, გადაადგილებაზე თუ მიდგება საქმე, პუტინი მხოლოდ იქ ჩავა, სადაც ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სასამართლოს არ სცნობენ. გარდა ამისა, დიპლომატიური პროტოკოლის მიხედვით, ნებისმიერი ქვეყნის მეთაური ხელშეუხებელია. იგივე მილოშევიჩი უცხო ქვეყანაში კი არ დააკავეს, თავად სერბებმა გადასცეს ᲰᲐᲐᲗᲘᲡ. პუტინიც, სავარაუდოდ, ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სასამართლოს წინაშე მხოლოდ მაშინ შეიძლება წარსდგეს, თუ მას გადააყენებენ და რუსეთის ახალი მთავრობა ᲰᲐᲐᲗᲘᲡ გადასცემს. ისმის კითხვა, მაშინ, ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლო რის მაქნისია? რა უნდა ავნოს პუტინს მისმა გაცემულმა ორდერმა?

გასაგებია, რომ ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლო, აღსრულების კუთხით, სუსტია და ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულის დაკავებას, მაგრამ, ის მაინც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიოში. ამიტომ, პუტინის დაჭერაზე ორდერის გაცემა მისი ავტორიტეტის შელახვას ნიშნავს. გადაწყვეტილება, თითქოს, სიმბოლურია, მაგრამ, სიმბოლურობა, ზოგადად, დიდ როლს თამაშობს პოლიტიკაში. დიქტატურისა და ავტოკრატიის ბედი სხვა ქვეყნების მიერ აღიარებასა და პატივისცემაზეა ხოლმე დამოკიდებული, რაც მათი ძალაუფლების ლეგიტიმაციას უდრის, მითუმეტეს, რომ საკუთარი ქვეყნის შიგნით მათ ლეგიტიმაცია აკლიათ და აღიარების ამ დეფიციტს საერთაშორისო არენაზე ავტორიტეტის გამყარებით ანაცვლებენ. ᲰᲐᲐᲗᲘᲡ ორდერი კი, ეჭვქვეშ აყენებს ლეგიტიმაციას, როგორც ასეთს.

კონკრეტულ შემთხვევაში, დასავლეთმა მსოფლიოს აცნობა, რომ, ამიერიდან, პუტინი ბრალდებულია და ცივილიზებული სამყაროდან გარიყულია, და რომ მასთან ნებისმიერი კონტაქტი საძრახისია. დასავლეთის მიერ იმლოკვება საერთაშორისო შეხვედრები მასთან. უფრო მეტიც, დასავლეთი, ალბათ, არც ჩინეთის სამშვიდობო გეგმას დაეთანხმება, თუ მას რუსეთი გაიზიარებს. ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლო ევროპული მოვლენაა და მის მიერ გაცემული ორდერი იმის ნიშანია, რომ ევროპა რუსეთთან ხიდებს წვავს. ევროპა, ამ ორდერით, რუსეთის ელიტას ატყობინებს, რომ ისიც გაირიყება, თუ დაჭერის მუქარის ქვეშ მყოფ თავის პეზიდენტთან გააიგივებს თავს.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲰᲐᲐᲗᲘᲡ სისხლის-სამართლის სასამართლო არ უნდა აგვერიოს ᲰᲐᲐᲗᲘᲡ საერთაშორისო სასამართლოში, რომელიც გაეროს ორგანოა, და 193 ქვეყანას აერთიანებს, მათ შორის, ამერიკას, რუსეთსა და ჩინეთს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲕᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲖᲔ!

ᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘ გავიდა მას შემდეგ, რაც ამერიკა, პრეზიდენტ ბუშის ხელმძღვანელობით, ერაყში შეიჭრა, რასაც ერაყის პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის, ჩამოგდება, დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა მოჰყვა. მაშინაც და ახლაც, ომს მევრი აკრიტიკებდა, განსაკუთრებით, კონსერვარტორი პოლიტიკოსები და ჟურნალისტები. ისინი ერაყის ომს უკრაინის ომს ადარებენ ხოლმე. აი, რას წერს ცნობილი ამერიკული გამოცემა „The American Conservative“ – ამერიკელი კონსერვატორი: დიპლომატიური გზით უფრო მეტს მივაღწევდით მაშინაც და ახლაც. ომის მოგება კი შეიძლება, მაგრამ ომის შემდგომ პრობლემებთან გამკლავებაა ძნელი, როცა ქვეყნები და ადამიანები საშინლად დაზარალებულნი რჩებიან. ერაყს დღემდე უჭირს ფეხზე დადგომა იმ ომის შემდეგ. ორივე ომი იმპერიალისტური ამბიციების ბრალია.

მაშინ – ამერიკის და ახლა – რუსეთის! ექსპერტები აფრთხილებდნენ ამერიკას, რომ ომით მხოლოდ ჩინეთი დარჩება მოგებული. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ამერიკის მიერ ნეოლიბერალიზმის წახალისება სიგნალი იყო გლობალურ სამხრეთისთვის: თუ გსურთ შეინარჩუნოთ ტრადიციები და გაიუმჯობესოთ ცხოვრების წესი, ჩინეთს დაუახლოვდით. ამაზე მეტად, ამერიკას ვერ უმტრობ! არადა, თავად ამერიკის მთავრობა ატარებს ასეთ პოლიტიკას. ლიბერალური დასავლეთი, ზოგადად, და, კერძოდ, ამერიკა უნდა მიხვდეს, რომ ყველა ერს თავისი ტრადიციები და ცხოვრების სტილი აქვს.

რაც ამერიკელისთვის მისაღებია, ის მიუღებელია, მაგალითად, საუდის არაბეთისთვის და პირიქით. ამიტომ დასავლეთი კი არ უნდა ცდილობდეს იმ ქვეყნების ადათ-წესების შეცვლას, არამედ, პატივს უნდა სცემდეს მათ. ნახეთ, რა ხდება ახლო აღმოსავლეთში: ამერიკის ასეთი პოლიტიკის გამო, მისგან დისტანცირდება ქვეყნები. ავღანეთის კონფლიქტის დროსაც, ანალიტიკოსები ერთხმად ურჩევდნენ ამერიკის მთავრობას, არ გაემეორებინა საბჭოთა კავშირის შეცდომები. უკრაინის საკითხში, ამერიკამ ისე უნდა დაიჭიროს თავი, როგორც, თურქეთმა და ჩინეთმა, კონფლიქტის მხარედ რომ არ იქცეს. სამწუხაროდ, ამერიკა ვერ სწავლობს თავის შეცდომებზე. ამას ამერიკელი ჟურნალისტი წერს. მე, უბრალოდ, გადმოგეცით...



ᲜᲣᲒᲖᲐᲠ. Ბ. ᲠᲣᲮᲐᲫᲔ

POSTV

ს/ს „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ“-ს

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ„ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲔ-4 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ 2023 ᲬᲚᲘᲡ 17 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ № 1-1/105 ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ახორციელებს 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „ალავერდი“-ს რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №1-1/42 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემის ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის “შემადგენელ ნაწილს.

ზემოაღნიშნული პროექტის დანიშნულებაა „გარდაბნის თბოსადგური-2“-ის ქსელთან მიერთების დამატებითი წყაროს უზრუნველყოფა, კერძოდ „გარდაბნის თბოსადგური-2“-ის ქსელთან მიერთებისათვის განხორციელდა ეგხ „ალავერდი“-ს გაჭრა და გაორჯაჭვიანება ქ/ს გარდაბნის მხრიდან, ხოლო მეორე მხარე შეიჭრება ქ/ს „მარნეულში“, რითიც გაიზრდება თბოსადგურის ქსელთან მიერთების საიმედოობა, აგრეთვე გაძლიერდება თბილისის გარშემო არსებული ქსელი (მარნეული-გარდაბნის კვანძი). ამდენად, პროექტს გააჩნია სახელმწიფოებრივი და სოციალური დატვირთვა და მის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი აქვს საქართველოს ენერგოსისტემის პერსპექტიული განვითარებისა და გაძლიერებისათვის.

პროექტის ფარგლებში, ეგხ-ის ანძის პოლიგონის ტერიტორიაზე, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შპს „M.B. INTERNATIONAL“-ის (ს/ნ 406083198) საკუთრებაში არსებული, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ აზიზკენდში მდებარე 138 736.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №83.03.16.502) ნაწილის, ჯამში 110.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოსყიდვის აუცილებლობა:

აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, შეფსების ანგარიშით განსაზღვრული ღირებულების (საკომპენსაციო თანხის) ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ მისი უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 220 კვ ეგხ „ალავერდი”-ს რეკონსტრუქციის პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეულ მისი საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით, მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მესაკუთრესთან, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის №1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2023 წლის 17 მარტს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **№1-1/105 ბრძანება** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა შემდეგ ქონებაზე:

1. შპს „M.B. INTERNATIONAL“-ის (ს/ნ 406083198) საკუთრებაში არსებულ, მარნეულის მუნიციპალიტეტის, სოფელ აზიზკენდში მდებარე 138 736.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის **(ს/კ: №83.03.16.502)** ნაწილზე, ჯამში **110.00 კვ.მ.-ზე.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

„ჩემს ცხოვრებაში წუთი რა არის, წუთიც არცროდის არსად არ დამიგვიანია“



ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

...ცხოვრებაზე

თორმეტი წლისა რომ ვიყავი, კანტის ტომი ავიღე. ძალიან ყურადღებით ვიკითხე და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ყოველივე დიდი სისულელეა.

* * *

მე ძალიან მევრს ვმუშაობ, გატაცებით, სადილობაც კი მავიწყდება. მავიწყდება, რომ ინსტიტუტში კრებას უნდა დავსწრებოდი. ამ უკანასკნელს კი არ მპატიობენ! ამიტომ პარტიაში არ მიმიღებენ.

* * *

ლანდაუ იმის თაობაზე, თუ სად დახარჯავდა ნობელის პრემიას:

„ფულის ხარჯვა არ მეხერხება, ხათაბალა საქმეა. ფულის ხარჯვა კარგად იციან ჩვენმა ცოლებმა. მთელ ნობელის პრემიას კორას ვაძლევ“.

* * *

ხანისად სარკეში ჩახედვა მაშინებს: ვაითუ ვირის სიფათმა შემომხედოს.

* * *

უნამუსობა მარტო მეცნიერთა, ლიტერატორთა, გაზეთებისა და ჟურნალების კორესპონდენტთა უპირატესობა არ არის. ესენი კახპები და არარაობანი არიან. კარგა გვარიანად ფულს უხდიან და ისინიც იმას წერენ, რასაც ზემოდან უბრძანებენ.

* * *

ლანდაუ კინოს შესახებ:

სწორედაც მოქმედებაა ჩემთვის მთავარი კინოში. უწყვეტი მოქმედება, რასაც წამითაც ვერ მოწყდები... არ შემიძლია, ვერ ვუძლებ თხრობის მყოვარა ნელ რიტმს, თამაშის მძიმე მანერას, უსასრულოდ უმოქმედო „მუნჯ“ სცენებს.

* * *

სუყოველს ძალუძს თავისი ბედიღბლის მფლობელობა, საჭიროა ოდენ ფოლადის ნებისყოფა.

* * *

მევრნი თავიდან იცილებენ უსიამოვნო აზრთ. იმათ ხეირიანად ახლის მოფიქრება არ ძალუძთ. თავისი ცხოვრების ამა თუ იმ გარემოებაში გარკვევა ყველას არ ხელეწიფება. აქ მთავარია ვითარების გაანალიზების ჩვეულების გამომუშავება, იმის პირველმიზეზის მოკვლევა, რაც ხელს გიშლის გაბედნიერებაში და ცხოვრებით ტკბობაში. ვისაც ამის სწავლა ძალუძს, ის ადვილად გადაწყვეტს ყოველსავე და არც ცხოვრება გაუჭირდება.

* * *

ჩემი ავადმყოფობით, მგონი, იდიოტური რეკორდი დავამყარე (ლევ **ლანდაუ ავტოკატასტროფის შემდეგ ექვს წელიწადზე მეტხანს მკურნალობდა**).

* * *

ასეა თუ ისე, მაინც კარგად ვიცხოვრე, ყოველთვის ყველაფერი გამომდიოდა!

* * *

საყოფაცხოვრებო საქმენი, არსებითად, როგორც რომ მეცნიერული საკითხები, აუცილებლივ მკაცრად უნდა მოვიფიქროთ და მკაცრადვე გადავწყვიტოთ.

...სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის თაობაზე

იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნისტურ პარტიას, იეზუიტური იდეაა. ეს უფროსობის მიმართ მორჩილების იდეაა. ზუსტად იგივეა, რაც იეზუიტური ოდენის იდეა.

* * *

ჩვენი სისტემა ჩინოვნიკთა კლასის, ბიუროკრატთა კლასის დიქტატურაა. მე უარვყოფ, რომ ჩვენი სისტემა სოციალისტურია, იმიტომ, რომ წარმოების საშუალებანი სულაც არა ხალხს, არამედ ბიუროკრატიას ეკუთვნის.

* * *

ჩვენები თავით ფეხამდე ფაშისტები არიან. ისინი შეიძლება, რომ მეტად ლიბერალნი ან ნაკლებად ლიბერალნი იყვნენ, მაგრამ ფაშისტური იდეები აქვთ. მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს იეზუიტური მითი იღუპება.

* * *

ჩემი აზრით, როგორც ჩანს, ამჟამად ისეთი გენერლები არა გვყვანან, სამხედრო გადატრიალებას რომ მოახდენდნენ. ეს რთული არ არის, შედარებით იოლია.

* * *

ლანდაუ იმის შესახებ, თუ რატომ არ შედის პარტიაში:

...მე არ ვუყვარვარ, არ მიმიღებენ. მე მხოლოდ სიმართლეს ვლაპარაკობ, გმირთა ჩამომავალი არა ვარ, უამრავი ნაკლი მაქვს. ბავშვობიდანვე მუდამ ნაროდოვოლეცნი და დეკაბრისტნი მიტაცებდნენ.

* * *

ჩვენმა სისტემამ განსაკუთრებული ჯიშის შემგუებელნი წარმოშვა: ისინი სულაც კარგ საგულისყურო რამ სამუშაოს არ ეძებენ, ისინი ერთ ადგილს ეძებენ, სადაც სხვათა მოსაჩვენებლად იმუშავებენ, ამასთანავე ვარაუდობენ, რომ ასეთი საცოდავი არსებობა ბევრისთვის შესაშურიც კი იქნება.

* * *

ჩვენი სისტემა სავსებით ფაშისტური სისტემაა და ადვილად სულაც ვერ შეიცვლება. ამიტომ საკითხი ორ რასმე ეხება. ჯერ ერთი, რა უკეთესობა შეიძლება რომ მოხდეს ამ სისტემის შიგნით. მეორეც, ვგონებ, რომ ეს სისტემა სულ უარდაუარ შეირყევა. ჩემი ფიქრით, ვიდრე ეს სისტემა არსებობს, იმის იმედი, რომ სადმე რიგიან ადგილას მიგვიყვანს, ამაოა, და საერთოდ სასაცილოა.

* * *

უნგრეთში ამბოხებულთა მხეცობის თაობაზე:

„...რევოლუციაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ მხეცობა რევოლუციონერთ ჩაედინოთ. ის კი არა, ისინი ტყვედ ბარდებოდნენ, სიცოცხლე რომ გადაერჩინათ. ჩვენთან წერდნენ, სახლიდან ვიღაც ოფიცერი გამოათრიეს და მოკლესო. საქმე კი ასე ყოფილა: ერთ-ერთ სახლში ჩასაფრებულა ოთხი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკი და დაუწყია ავტომატიდან სროლა ამბოხებულთა წინააღმდეგ, მოუკლავთ სამოცი კაცი, მალე თვითონ იმათაც მისდგომიან... მერე რომელიღაც მოედანზე ჩვენმა ტანკებმა დაუშინეს ბრბოს, მოკლეს სამოცი კაცი... რევოლუცია კეთილშობილური საქმეა. ბიჭები – ცამეტიდან თექვსმეტ წლამდე – იბრძვიან ბარიკადებზე. გამოდიან სტუდენტები... უნგრული ჰეროიზმი თაყვანისცემას იმსახურებს“.

* * *

თავის თავს სხვა მეცნიერთ რომ ადრიდა: „მე ლაღაზროვნების კაცი ვარ, ისინი კი საცოდავი ლაქიები არიან. მე უწინარესად ვგრძნობ ჩემს უპირატესობას.

* * *

„...უნგრული რევოლუცია პრაქტიკულად მთელ ხალხს ნიშნავს, რომელი ხალხიც თავის მჩაგვრელთა, ანუ მცირე უნგრული ხროვის, ძირითადად კი ჩვენს წინააღმდეგ... რაც ამჯერად უნგრელთ გამოავლინეს, მიბაძვას იმსახურებს. მზად ვარ, რომ უნგრეთის წინაშე მუხლი მოვიყარო“.

* * *

1956 წლის 1 დეკემბერს ლანდაუმ განაცხადა:

ახლა ცხადია, რომ სამხედრო გადატრიალება მოხდება, ეს სავსებით რეალური საქმეა ახლა, როცა ესოდენ მცირედ პოპულარულია მთავრობა და აგრერიგად შესრულდა ხალხს მმართველი კლასი.

* * *

უკეთუ ჩვენი სისტემა მშვიდობიანად ვერ ჩამოინგრევა, მაშინ გარდაუვალია მესამე მსოფლიო ომი მთელი თავისი საშინელებებით. ასე რომ, ჩვენი სისტემის მსოფლიო ნგრევა კაცობრიობის ბედ-იღბლის საკითხია“.

* * *

1956 წლის 4 დეკემბერს ერთ-ერთ მეცნიერთან საუბრისას განაცხადა: მე ასე ვფიქრობ: თუ ჩვენი სისტემა უომრად დაინგრევა – მნიშვნელობა არა აქვს, ურევოლუციოდ თუ უევოლუციოდ, სულ ერთია, – ომი საერთოდ აღარ იქნება. უფაშიზმოდ ომი არ ხდება.

* * *

აბა, მე რა კომუნისტი ვარ? უბრალოდ ერთი არაფრის მაქნისი მშიშარა კურდღელი ვარ!

* * *

ლანდაუ ციხედან გამოსვლის შემდეგ:

წელიწადი კი დავკარგე, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მივხვდი, რომ ადამიანები გაცილებით უკეთესნი არიან, ვიდრე მეგონნენ.

...ადამიანებზე

აბეზართა მოსპობა სუყოველი წესიერი ადამიანის ვალია. თუ აბეზარი გაჩანაგებული არ არის, გარშემო მყოფთა სირცხვილია.

* * *

პარგი ლაყბობა აშკარად ხელოვნებაა.

* * *

ჩემი შვილი ჩემზე ვერასოდეს ვერ იტყვის, მამაჩემი აბეზარი კაციაო.

* * *

ლანდაუ სახელ ვანდას თაობაზე:

დასავლეთში ვანდა ბუნებრივად ხმიანებს, ჩვენში კი ასეთი სახელი აღიქმება როგორც არაბუნებრივი. იმაზე უკვე აღარას ვამბობ, რომ ვანდა მაღაზიას ჰქვია.

* * *

ლანდაუ ნიკოლაე ოგარიოვზე:

ჩინებული პოეტია, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბინიანად, საფუძვლიანად მივიწყებულია! ამას ხელი შეუწყო ემიგრაციამ, გარკვეული დროით აკრძალულიც იყო. მერე კი გაუქმდა ეს აკრძალვები, მაგრამ დაკარგულმა დრომ თავისი ქნა, სამწუხაროდ.

* * *

ადამიანის სახის თითოეულ ნაკვთს თავისი დატვირთვა აქვს, რაღაცას გამოხატავს. განა თვალმშვენიერი ყმაწვილქალები ორმოცდაათი წლისანი ნამდვილ ნიანგებად არ გადაიქცევიან ხოლმე! მეშჩანური რაობა, არსი სჭარბობს, ყოველსავე ნთქავს, რაც რამ კარგი იყო და მხოლოდ ძალიან ცოტანი ახერხებენ სულის, წმინდა გულისთქმის შენარჩუნებას.

* * *

თუ მუშაობას თავს დაანებებ, ეგრევე კუდი გამოგებმევა და ხეებზე დაიწყებ ძრომიალს.

* * *

შენი ქოსატყუილობა მხოლოდ შენი ბიოგრაფიისთვის არის საგულისყურო.

* * *

ინტელიგენტის ცრურწმენა ათი ათასჯერ უფრო საზიზღარია უბირი დედაკაცის ცრურწმენაზე.

* * *

ღმერთმა შექმნა ბრიყვნი და ბატები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ვისიმე და რისიმე გაბრაზება.

* * *

დოლარებზე გაიყიდა ზარმაცი, უქნარა. არცროდის მუშაობა არ ჰყვარებია. მასზე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება – თვითგანადგურება. შეწყვიტა მუშაობა და სულ არარაობად იქცა.

* * *

მარქსიზმის კლასიკოსთ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ დაამტკიცეს, რომ შრომამ შექმნა ადამიანი.

* * *

ძალიან საყვარელი მოხუცია. ჩემი სიდედრისთანა, ალბათ, არცვის არა ჰყავს.

* * *

რეგვენზე უარესს კაცი ვერ მოიგონებს, ოღონდ სიხარბე და სისასტიკე ყოვლის უფრო საზიზღარი ადამიანური თვისებებია.

* * *

ადამიანმა უნდა დაიმსახურო, რომ პატივსა გცემდნენ. განა შეიძლება, რომ პატივი მიაგო ქურდს, უქნარასა და არამზადას! ამას მხოლოდ ისინი სჩადიან, ვინც გულგრილად ეკიდება ადამიანთ, ამტკიცებენ, უკლებლივ ყველას პატივს უნდა ვცემდეთო.

* * *

ადამიანი ნიადაგ უნდა ესწრაფოდეს ბედნიერებას, უყვარდეს ცხოვრება და დატკბეს ყოველდღიურობით.

* * *

ახალგაზრდობა სულ მუდამ იქნება, სხვათა შორის, ეს ჩვენი სიბერის ბარომეტრია.

* * *

ჯერ შენი საკუთარი ხელფასი არ მიგიღია და უკვე ცოლი მოგყავს?!

* * *

თუ ადამიანი საყოფაცხოვრებო ვითარებებს თეორიული ფიზიკის თვალსაზრისით განიხილავს, ის ორმაგად იშვიათად ცდება.

* * *

იქნებ ადამიანის გენიალურობის უდიდესი ზეიმი ის არის, როცა ადამიანი ახერხებს ისეთ საგანთა გაგებას, რომელთა წარმოდგენის თავი უკვე აღარა აქვს.

* * *

თავხედობა უტიფრობაა, რასაც მნიშვნელოვანი რამ საფუძველი არა აქვს.

* * *

ჭკუიდან გადავიდა და ხიდზე გადავიდა.

* * *

პოეზიის ტრიფიალ ადამიანს ის უნათებს და ულამაზებს ცხოვრებას, მე პირადად ულექსებოდა, რომელთა გამეორებაც გულში სულ მუდამ შემიძლია, ძალიან მოვიწყენდი.

* * *

რაც უფრო ცოტა ხალხია, ლხინს უფრო მეტი ლაზათი აქვს.

* * *

ვინც შრომაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობს, ჩვეულებლივ ცუდი მუშაკია. ის უბრალოდ ყბედობს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33

◎ როდემდე?

სტაბილურად, მაგრამ...

მართლაც, ბოლოს და ბოლოს, რას ერჩიან სანდრო გაზაძეს მსაჯები?

ჩვენს საამაყო მუშკეტერსა და მის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს ბოლომდე ჯერაც ვერ მოგვიშუშებია ტოკიოს ოლიმპიადის ნახევარფინალში მიღებული იარა, რომ საერთაშორისო რეიტინგის პირველ ნომერზე ახალი შეტევა განხორციელდა.

საუბარია უნგრეთის დედაქალაქში გათამაშებულ ბუდაპეშტის მსოფლიო თასზე, სადაც სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ არონ სილადისთან თითქმის მოგებულ სატიტულო ბრძოლაში 14:10 დაწინაურებულ ჩვენს თანამემამულეს არა და არ ჩაუთვალეს გადამწყვეტი ჩხვლეტა და 14:15 წააგებინეს.

ასე რომ, საკუთარი კედლების ფაქტორი სპორტის რაინდულ სახეობაშიც აქტუალურია. თავისთავად, პრესტიჟულ ტურნირში დაკავებული მეორე ადგილიც საპატიოა, მაგრამ მაშინ, როცა ოქროს უაპელაციოდ გართმევენ, ძნელია ვითარებას შეეგუო, მით უმეტეს – უკვე მერამდენედ.

◎ ტატამზე

მაინც გავილაღეთ!

თბილისის შარშანდელ გრანდ სლემზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა 14 მედალი მოიხვეჭა. მართალია, ამჯერად ამის ნახევარზე ნაკლები დავიმსახურეთ, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ეს შედარებით მოკრძალებული ნადავლიც საკმარისი აღმოჩნდა (მწვრთნელი – ლაშა გუჯეჯიანი).

როცა მასპინძელთა მონაგარზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ფაქტორიც, რომლის დაწყებამდეც ორ თვეზე ნაკლები დარჩა. ალბათ, სეზონის სალიცენზიო ფორუმის ბრალიცაა, ზოგი ჩვენგანი ნახევარი ძალით რომ ჭიდაობდა, აქაოდა ტრავმა არ მივიღოო. ასეა თუ ისე, მაშინ, როცა არც სტუმრები გამოირჩეოდნენ უძლიერესი შემადგენლობებით, სამშობლოში ჯილდოების არცთუ მჭლე რაოდენობა დავიტოვეთ, ეს კი ცუდი როდია.

განსაკუთრებით ცხარე ბრძოლა გაჩაღდა 90 კილოში, სადაც აღნიშნული წონითი კატეგორიის აღიარებული ლიდერები ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე და ბექა ღვინიაშვილი გამოვიდნენ ტატამზე. კონკურენცია კიდევ უფრო გამძაფრდებოდა ავთანდილ ჭრიკიშვილის გამოსვლის შემთხვევაში, მაგრამ იგი ბოლო მომენტში ჩაეხსნა ტურნირიდან.

საბოლოოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი ქართული ფინალით დაგვირგვინდა, რომელშიც **მექაურმა** მაისურაძეს სძლია. არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები მძიმე წონაშიც, სადაც ყველას **გელა ზაალიშვილმა** აჯობა. მის წარმატებას, უკვე მესამეს მსგავს ასპარეზობაში, ფასს ჰმატებს გურამ თუშიშვილის მიერ ვერგამართლებული ფავორიტის სტატუსი. მან სტარტზევე მიიღო დისკვალიფიკაცია აკრძალული ილეთის გამოყენებისთვის. დავძენთ, რომ საკუთარ ტატამზე ასევე მესამედ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ილია სულამანიძე** (100 კგ), ვერცხლს **გიორგი სარდალაშვილი** (60 კგ) დაეუფლა, ხოლო ბრინჯაოს – **ლაშა შავდათუაშვილი** (73 კგ).

◎ რეპეტიცია

მეორე ტაიმის მაღლი

როცა ევრო-2024-ის შესარჩევი ტურნირის სტარტის წინ ვილი სანიოლმა სპარინგში მეტოქედ მონღოლეთი შეარჩია, ბევრი გაკვირვებას ვერ მალავდა – რა სარგებელს მოგვიტანს საერთაშორისო რეიტინგის მაჩანჩალასთან უმოტივაციო მატჩი.

როგორც აღმოჩნდა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე – კვარაცხელიას გარეშე მოთამაშე ჯვაროსნებს ტაიმზე მეტი დასჭირდათ საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად, რაც გასაოცარი სულაც არაა – ისინი ხომ ახალ სანაკრებო სეზონში პირველ შეხვედრას ატარებდნენ და შეთამაშება აკლდათ.

გუნდმა თამაში ბათუმის აჭარაბეთ არენის გაზონზე კვეკვესკირის გამოსვლის შემდეგ დაალაგა და ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდნენ სტუმრები, შანსი კვარას რომ მისცემოდა, მაგრამ მას გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გამოცდა უნდა ჩაებარებინა ნორვეგიასთან.

საქართველო – მონღოლეთი

6:1 (1:1)

გოლები: ჩაკვეტაძე – 2 (მანვე ვერ გაიტანა პენალტი), ვოლკოვი, ლობჟანიძე, ბერიძე, ზიზვიკაძე. სხვათა შორის, ჩაკვეს აქამდე 4 წლისა და 4 თვის განმავლობაში არ ჰქონდა გატანილი ბურთი და, როგორც იქნა, ნავსი გატეხა.

◎ კორტზე

იმედი ხვალის

რა გასაკვირია, რომ ჩოგბურთის კორტებზე გასილაშვილმა გაიმარჯვოს, მაგრამ კიდევ უფრო მისასალმებელია, როცა პერსპექტიული გოგონას წარმატებაზე გვიწევს საუბარი.

ამჯერად წარმოგიდგენთ **ნატალი გასილაშვილს,** რომელმაც ესპანეთში რაფაელ ნადალის აკადემიაში გამართული 10-წლამდელთა ტურნირი მოიგო და „ტენ-პრო გლობალ ჯუნიორ ტურის“-მეორე ეტაპის მთავარი პრიზი მოიპოვა.

მთლიანად პრესტიჟული ტური 9 საერთაშორისო ასპარეზობას მოიცავს და მისი მიზანია 10-15 წლის ამბიციური, უაღრესად ნიჭიერი გოგო-ბიჭების შერჩევა. დასახელებული ფორმატი ტალანტებს საშუალებას აძლევს ძლიერ თანატოლებთან პრინციპული 4-8 ბრძოლა მოაწყონ ევროპასა და ამერიკაში.

დავძენთ, რომ ტურის მესამე ტურნირს მაისში ბელგიის დედაქალაქი ბრიუსელი უმასპინძლებს, ხოლო პირენეებზე 12-13 წლამდელთა შორის მეორე ადგილი **ნინი ნიკოლაიშვილმა** დაიკავა.

◎ ლეგიონერი

გიორგი შერმადინი უკვე მე-2 ადგილზეა

ქართველმა ცენტრმა „გრან კანარიასთან“ მატჩში 15 ქულა ჩააგდო, სულ კი „ტენერიფეს“ მაისურით 1862 ქულა მოუგროვდა და გუნდის ყველა დროის ბომბარდირებში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

შერმადინმა ამ მაჩვენებლით „ტენერიფეს“ ისტორიაში მესამე ადგილზე მყოფ ნიკო რიჩოტის (1849) გადაასწრო. პირველ ადგილზე გადასვლისგან კი ძალიან შორსაა, რადგან ამ პოზიციას ჰერმან გონსალესი 3191 ქულით იკავებს.

შეგახსენებთ, რომ გიორგი შერმადინმა „გრან კანარიას“ წინააღმდეგ 20 წუთში 15 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება დააგროვა. „ლენოვო ტენერიფე“ 17 მოგებით და 6 წაგებით ლიგა ენდესაში მეოთხე პოზიციაზეა, მომდევნო ტურის მატჩს კი 29 მარტს შინ „მანრესასთან“ გამართავს.

◎ ოვალური ბურთი

10 წლის შემდეგ



უკვე 10 წელი გავიდა, რაც მამუკა გორგოძე საფრანგეთის წამყვანი სარაგბო დივიზიონის სეზონის საუკეთესო ლეგიონერად დაასახელეს. და აი, კიდევ ერთი ბორჯღალოსნის აღიარება.

საუბარია საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ლიდერ **დავით ნინიაშვილზე,** რომელიც მომავალი მსოფლიო თასის მასპინძელ ქვეყანაში უძლიერეს დეგიუტანტად მიიჩნიეს. ვულოცავთ!

შეგახსენებთ, რომ შარშან ჩვენი თანამემამულე ლიონს რანგით მეორე ევროპული საკლუბო ტურნირის – ჩელენჯ კაპის მოგებაში დაეხმარა, ლევან მაისაშვილის კრებულში კი პარტნიორთა შორის გამორჩეული გახლდათ როგორც რაგბი ევროპის შეხვედრებში, ისე ისტორიული გამარჯვებით დასრულებულ ბორჯღალოსანთა ტესტ-მატჩებში იტალიასა და უელსთან.

სულთათანა

მთვარისა კერესელიძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე **მთვარისა დავითის ასული კერესელიძე.**

ჩვენს რიგებს გამოაკლდა შემოქმედი, რომელიც მთელი მისი შეგნებული სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად და მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, რომელსაც არასოდეს უღალატია იმ წმიდათაწმინდა სამებისთვის, რომელსაც მამული, ენა და სარწმუნეობა ჰქვია...

მთვარისა კერესელიძე დაიბადა 1942 წლის 20 ივლისს აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში. მშობლიური სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1961 წელს, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1966 წელს დაასრულა.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მთვარისა კერესელიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რადიოს ახალგაზრდული გადაცემების განყოფილების რედაქტორად, გაზეთ „სახალხო განათლების“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ... დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი იყო გაზეთ „პოეზიისა“. დააარსა და ხელმძღვანელობდა შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნებას“, არჩეული იყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმისა და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრად. ძალიან დიდხანს ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას. ყველგან, სადაც კი იმუშავა, პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა, ყველას უშურველად უზიარებდა საკუთარი გულის სითბოს და სიკეთეს.

მთვარისა კერესელიძის ლიტერატურული დებიუტი 1963 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „მე დავიბადე ივლისის თვეში“. მას შემდეგ მთელი ეპოქა გავიდა, შეიცვალა ფორმაციები, მაგრამ არ შეცვლილა ამ მშვენიერი პოეტის კრედო – მთელი არსებით ყოფილიყო მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახურში, მთელი შემოქმედება მიეძღვნა მისი აწმყოსა და მომავლისათვის.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდ დაინტერესებას იჩენდა მთვარისა კერესელიძის პოეზიისადმი. მისი პოეტური კრებულების („სათავე“, „ჭრელი გაზაფხული“, „ოლონდ ისმინე“, „ფრესკის ღაღადი“, „მოგონება“, „პოეზია“, „დუმილის შემდეგ“, „წაგვლეკა მტერმა მოყვრულად“, „თუკი დღეს გადარჩა საქართველო“, „ახი ლექსი“) ლირიკული გმირი ხან ბერი თევდორე იყო, ხან პაატა საკაძე, ხანაც ცოტნე დადიანი, იმ ქვეყნის შვილი, სადაც სიმღერით კვდებიან და სიმღერით ცოცხლდებიან, სიმღერით ამარცხებენ სიკვდილს, მტერს არასოდეს ნებდებიან და უსასრულობის უკიდეგანობისკენ მიისწრაფვიან. იქ, სადაც ქარები ღრუბლებში აჭრილი მოლივლივე ხომალდების აფრებს აშრიალებს...

მთვარისა კერესელიძის ლექსები ითარგმნა უკრაინულ, ყაზახურ, ავარულ, რუსულ ენებზე.

იგი არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიცისტური სტატიისა და ნოველის ავტორი იყო.

მთვარისა კერესელიძის მრავალწლიანი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა გალაკტიონ ტაბიძის, მარიკა ბარათაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის სახელობის, გაზეთ „ივერიის“ პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებები.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მხცოვანი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე, რომლის სახება, სახება სამშობლოს სამსახურში ბოლომდე დახარჯული ბანოვანისა, დიდხანს დარჩება მისი თანამოკალმეებისა და თაყვანისმცემლების ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

სერგი გორდელაძე

40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მართალთა განსასვენებელში გადაინაცვლა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ღირსეულმა წევრმა, უკონფლიქტო, ზრდილობიანმა, კაცთმოყვარე ახალგაზრდამ სერგი მალხაზის ძე გორდელაძემ.

იურისტთა ტრადიციული ქართული ოჯახის საამაყო შვილმა წარჩინებით დაამთავრა ჯერ დედაქალაქის 179-ე საჯარო სკოლა, ხოლო შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2003 წელს კი მიიღო მაგისტრი იურისტის დიპლომი კვალიფიკაციით სამართალმცოდნეობა. პრაქტიკოსი პროფესიონალი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე წარმატებით ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას, ხოლო კარიერის დასაწყისში მოღვაწეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება — კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახურში უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, იყო საჯარო მოხელე.

სამშობლოს გამთლიანებაზე მეოცნებე მამულიშვილს განსაკუთრებით მშობლიური გურია, ჩოხატაური და სოფელი ერკეთი უყვარდა. წინაპართა და გორდელაძეთა გვარის ტრფიალს უკურნებელი სენის გამო არ დასცალდა მამაპაპისეული ახალი სახლის აშენება და საკუთარი ოჯახის შექმნა, არადა, ბოლომდე ვაჟკაცურად ებრძოდა პანკრიასის სიმსივნეს. უცხო ენების ფლობით, მუსიკის, ნადირობის, მებაღეობის, მეღვინეობისა და მოლხენის სიყვარულით გამორჩეულმა 42 წლის ძვირფასმა სერგიმ გულდაკოდილი მოხუცი მშობლები, უმცროსი დაიკო და პატიოსანი კაცის სახელი დაგვიტოვა. იქაც ნათელი დაადგეს.

გორდელაძნეების საგვარეულო კავშირის სახელით

გურამ გორდელაძე

თბილისის ქუჩებს საზოგადო მოღვაწე ქალების სახელები მიენიჭება

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ქალაქის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარების მიზნით თბილისში ათ ქუჩას, იმ ქალ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელები მიენიჭება, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვადასხვა სფეროს განვითარებაში და რომელთა ღვაწლიც გარკვეულწილად მივიწყებულია ფართო საზოგადოებისათვის.

თბილისის ქუჩებს შეემატება:

პირველი ქალი დიპლომატის, **რუსუდან მიქელაძის** ქუჩა.
პირველი ქალი ინჟინრის, **ბარბარე ბაირამაშვილის** ქუჩა.
პირველი ქალი მეზღვაურის, **იულია ფაილოძის** ქუჩა.
ერთ-ერთი პირველი ქალი მფრინავის, **ნინა ხუბულავას** ქუჩა.
ერთ-ერთი პირველი ქალი მფრინავის, **ნინა ჟორდანიას** ქუჩა.
კალიგრაფ გადამწერის, მანანა ზედგინიძის ქუჩა.
ექიმისა და მეცნიერის, **ბარბარე ყიფ**იანის ქუჩა.
რეპრესირებული პოეტის, **მარიამ აბრამიშვილის** ქუჩა.
მსახიობ **თამარ ჭავჭავაძის** ქუჩა.
მსახიობ **ცეცილია წუწუნავას** ქუჩა.
ევროპის მასშტაბით პირველი და ერთადერთი ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნის, **ქეთევან ლოსაბერიძის** ქუჩა.

საგამოძიებო სამსახურმა უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ფაქტები გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად აჭარის და სამეგრელოს რეგიონში შესაბამისი ნებართვის გარეშე სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების სამი ფაქტი გამოავლინეს, რაზეც ოთხი პირი პასუხისგებაში მისცეს, მათგან ერთი დააკავეს.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ მრალდებულებს სამ სხვადასხვა ლოკაციაზე მოწყობილი ჰქონდათ სათამაშო მიზნესის ობიექტები, საიდანაც, შესაბამისი სავალდებულო ნებართვის გარეშე, ინტერნეტის მეშვეობით, საქართველოს ფარგლებს გარეთ მოქმედი ინტერნეტკაზინოების ვებგვერდებზე გადაიცემოდა ლოტოს გათამაშების პროცესი. დადგენილია, რომ, ობიექტების ლეგალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტში სანებართვო მოსაკრებლის სახით უნდა შესულიყო, ჯამში, დაახლოებით 300 000 ლარი. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით თავისუფლების 3-დან 5 წლამდე ვადით აღკვეთას ითვალისწინებს.

14 წლით თავისუფლების აღკვეთა...

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მირიან კუკავას განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული დამნაშავედ ცნო. სასამართლომ ასევე აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ხულიგნობისთვის ორი პირი ცნო დამნაშავედ. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 28 ივლისს, მცხეთის რაიონის სოფელ ცხვარიჭამიაში, დაბადების დღის წვეულებაზე სტუმრების ნაწილს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს ერთ-ერთმა ბრალდებულმა დანით ჭრილობები მიაყენა მირიან კუკავას, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

ასევე, გამოძიებამ დაადგინა მირიან კუკავას განზრახ მკვლელობამდე მომხდარი დაპირისპირების მონაწილე სხვა პირები, რომლებმაც მირიან კუკავას და მის მეგობრებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲐᲜᲣ...“

ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე აღინიშნა, სადაც პერფორმანსი – „ქართული თეატრის ამბავი, ანუ“... გაიმართა.



რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე ნიკოლოზ საგაშვილის რეჟისორობითა და ნიკოლოზ წულუკიძის შესრულებით, ასევე, ანსამბლ „სუხიშვილებთან“, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრსა და მაესტრო ნიკა ნიკვაშვილთან ერთად, გაცოცხლდა საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი ქართული თეატრის იდუმალი ამბები და მოგონებები, რომლებიც დროსა და სივრცეში გვამოგზაურებს და ხშირად ფარდის მიღმა რჩება.

საღამოს კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

13 წლის კომპოზიტორისა და მუსიკოსის ცოტნე ზედგინიძის ნიჭზე, მსოფლიო რომ უკვე დიდი ხანია საუბრობს, ახალი არ გახლავთ.

სულ ახლახან ქართველმა ვუნდერკინდმა „MEZZO“-ს 25-ე საიუბილეო გალა კონცერტზე, პარიზში, დაუკრა. მისი წარმდგენი ლეგენდარული დანიელ बარემბოიმი გახლდათ. ღონისძიება სწორედ ცოტნემ გახსნა და სოლიდური აუდიტორიის წინაშე საკუთარი ნაწარმოები შეასრულა.მუსიკოსი თავის მუსიკალურ პედაგოგთან, ნინო მამრაძესთან ერთად, თავად ტელეკომპანია „Mezzo“-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ჰერვე გოისიერმა მიიწვია. წარმატებები ვუსურვოთ, ცოტნეს, რომელიც უკვე ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს აცნობს. გვჯერა, რომ მისი ნიჭიერება კიდევ მრავალჯერ გვასახელებს.

ᲪᲝᲢᲜᲔ ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ საავტომობილო ჟურნალის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, Mersedes-ი ჩინეთში, გერმანიასა და უნგრეთში საკუთარი საწარმოების მოდერნიზებისთვის მილიარდობით დოლარის მოცულობის ინვესტირებას იწყებს. ელექტრომობილების წარმოებაზე მასობრივად გადასვლის წინ ავტომწარმოებელი საწარმოო შესაძლებლობების გაუმჯობესებაზე ფიქრობს და საწარმოების მიერ გამოყოფილი გამონაბოლქვის შემცირება სურს.



კომპანიის განცხადებით, ბრენდი სრულად ელექტროწარმოებაზე გადასასვლელად მიმდინარე ათწლეულის დასასრულისთვის მზად იქნება. გამოყოფილი ინვესტიციებით პირველი გერმანული საწარმოს მოდერნიზება იგეგმება. ამავე საწარმოში კომპანია 2024 წლისთვის ახალი პლატფორმის გამოშვებაზე მუშაობს. თუმცა, ამ ქარხანაში წარმოებული მოდელების რაოდენობა 7-დან 4-მდე შემცირდება.

სულ მცირე რამდენიმე მილიარდი დოლარი გერმანიაში მდებარე სამ საწარმოში სამღებრო სისტემების მოდერნიზებისთვის დაიხარჯება. მოდერნიზაციის მთავარი მიზანი წყლისა და ენერგიის მოხმარებისა და სამღებრო სისტემების მიერ გაზის მოხმარების შემცირებაა.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲔ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ

ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲘ მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი 26 მაისს კონცერტს ამერიკელი მსმენელისთვის გამართავს. იგი პირველი ქართველი მუსიკოსია, რომელიც იმ დარბაზში იმღერებს, სადაც კონცერტები მსოფლიო ვარსკვლავებმა – მადონამ, სტინგმა, მიკ ჯაგერმა და B2-მა გამართეს. მომღერალმა ნიუ-იორკში „ვეგსტერ-ჰოლში“ დაგეგმილი კონცერტისთვის რეპერტუარის შერჩევა და მზადება უკვე დაიწყო.

ქართველი მომღერალი 1400-კაციან დარბაზში მსმენელის წინაშე ყველასთვის ნაცნობი და პოპულარული სიმღერებით წარსდგება. კონცერტი ნიუ-იორკში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესაა დაგეგმილი და სასიხარულოა, რომ ბილეთების დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია. სტეფანეს ამერიკულ საღამოს ყველაზე მეტად ქართველი ემიგრანტები ელოდებიან. 26 მაისს, – სტეფანეს კონცერტის დაწყებამდე, „გლობალაიზი“ სხვადასხვა ბიზნეს შეხვედრებს და ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის არაერთ ღონისძიებას გეგმავს.

ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ იორკის მცხოვრებმა ლუკ ბადვორთმა შემთხვევით სამზარეულოში რემონტის დროს კედლებზე XVII საუკუნის ნახატები იპოვა.

ნახატებზე პოეტ ფრენსის კუორლსის 1635 წელს გამოცემული წიგნიდან სხვადასხვა სცენაა აღბეჭდილი. მთავრობის მხრიდან ნახატების შესანახად ფინანსები არ გამოყოფილა, ამიტომ ლუკ ბადვორთი ნახატებს თავად მოუვლის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲟᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲯᲝᲠᲘᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გებელი ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
599 36-00-35
ᲨᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲖᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

„ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲢᲘᲕᲐᲪᲘᲐ“ - ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ

AI Book „ლურჯი ოკეანისა“ და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ახალი წიგნი „თანამშრომელთა მოტივაცია“ გამოიცა.

„მოხარული ვართ, რომ ხელოვნური ინტელექტით დაწერილი პირველი წიგნი – ქართულ ენაზე გამოვეცით“, – წერს BTU-ს დამფუძნებელი მიხეილ ბატიაშვილი სოციალურ მედიაში.

ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული წიგნების გამოცემა უნივერსიტეტმა იანვრიდან დაიწყო, რაც შეეხება ახალ წიგნს „თანამშრომელთა მოტივაცია“, 2000 ტირაჟით გამოიცა და მისი შეძენა „ბიბლუსის“ ქსელში იქნება შესაძლებელი.აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ყოველთვიურად გამოსცეს ახალი წიგნი. მათ შორის იქნება წიგნები ბლოქჩეინის, ფინტექის შესახებ.

მოამზადა
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲕᲐᲚ, 30 ᲛᲐᲠᲢᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:	ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 29 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ	ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.5754; ᲔᲕᲠᲝ - 2.7727;	ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:	ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1569;	ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +5, ᲓᲦᲔ +25	ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.3620; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1349;	ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +2, ᲓᲦᲔ +20	და sakresp@mail.ru
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.5149;	ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:	ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6163	ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +6, ᲓᲦᲔ +15	
	ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +4, ᲓᲦᲔ +17	
	ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +9, ᲓᲦᲔ +23	